საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგოესია.

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი. 2017 წ. №242 (8379), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პაატა ლეიბაშვილი:

ბანკირების „ფოკუს-მოკუსი“

4

სპეცოპერაციის შავი ხვრელები

საფრთხე აღარ მცირდება!..

რა უნდოდა IS-ის საგარეო ოპერაციათა ხელმძღვანელს საქართველოში?

7

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ვანოს, ოთოს და სხვა ნაციონალებს 4 000 ევრო მიუგდო!..

3

აბრეშუმი ჯერჯერობით მხოლოდ ფორუმებზე შრიალებს!..



„ახალი აბრეშუმის გზის“ შუა დერეფნის განვითარება ჩვენი პრესტიჟის საქმეა

თბილისის „აბრეშუმის გზის ფორუმი“ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მისასალმებელი სიტყვით გახსნა.

„კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში. ჩვენთვის უდიდესი პატივია, ასეთ წარმომადგენლობით დელეგაციებს ვუმასპინძლოთ თბილისის „აბრეშუმის გზის“ ფორუმზე, რომელიც წელს „სარტყელი და გზის“ სახელით იმართება.

მსურს, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ფორუმში მონაწილეობისთვის.

საქართველო, ისტორიულად, მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელიც აკავშირებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკონომიკებს და კულტურებს. ჩვენ ბევრი სირთულე გადავლახეთ ათასწლეულების მანძილზე და შევინარჩუნეთ ჩვენი დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, ჩვენი ტოლერანტობით, თანამშრომლობით და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენების უნარით.

დღეს, მსოფლიო, ისევე, როგორც ევროპა და აზია, კვლავ მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, თუმცა, ასევე მრავლადაა შესაძლებლობები მშვიდობიანი და სტაბილური განვითარებისთვის.

ჩვენი ფორუმის მიზანია, რომ სწორედ ეს შესაძლებლობები აღმოვაჩინოთ ყველამ ერთად და გადავდგათ ნაბიჯები ჩვენი ქვეყნების და ხალხების უკეთესი მომავლისათვის.

საქართველოსთვის უდიდესი შესაძლებლობა და პატივი იქნება კონტინენტებს შორის საიმედო კავშირების გაღრმავების პროცესში საკუთარი მოკრძალებული წვლილის შეტანა.

„დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინება, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ „სარტყელი და გზის“ ინიციატივის სახით იქნა წარმოდგენილი და ეფუძნება 5 ძირითად პრინციპს: **მშვიდობა, კეთილდღეობა, გახსნილობა, ინოვაცია და ცივილიზაციათა კავშირი** – საჭიროებს აქტიურ საჯარო თუ კერძო სექტორის დიალოგს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს კონფერენციაც ამის კარგ შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველო უკვე მეორედ მასპინძლობს „აბრეშუმის გზის“ ფორუმს. ფორუმში მონაწილეობას იღებს 37 ქვეყნის დელეგაცია და ასევე, ათეულობით საერთაშორისო ორგანიზაცია. ფორუმისადმი ასეთი ინტერესი ცხადყოფს, რომ ეს ინიციატივა სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს არა მხოლოდ მასში მონაწილე ქვეყნების, არამედ ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია მეტი მიღწევებით ვაჭრობის სფეროში, ინფრასტრუქტურის განვითარებით, ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდითა და ხალხებს შორის ურთიერთობების გაღრმავებით.

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ დაიშურებს, რათა საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ახალი ბიძგი მივცეთ „აბრეშუმის გზის“ ფარგლებში როგორც სატრანსპორტო მარშრუტების დივერსიფიცირებასა და მათი ეფექტიანობის გაზრდას, ასევე, იმ პროექტების განხორციელებას, რაც ევროპისა და აზიის ეკონომიკური და ცივილიზაციური კავშირების განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

მინდა, ხაზი გავუსვა, რომ მივესალმებით „სარტყელი და გზის“ ინიციატივის ფარგლებში სხვადასხვა სატრანსპორტო დერეფნებს შორის ჯანსაღ კონკურენციას, რადგან მსგავსი კონკურენცია ხელს უწყობს მომსახურების გაიაფებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას და, შესაბამისად, ზრდის მოქალაქეების კეთილდღეობას.

საქართველო არის ღია ეკონომიკა. ჩვენ მსოფლიოში მერვე ადგილს ვიკავებთ ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით და მეცხრე ადგილს ბიზნესის წარმოების სიმარტივის კუთხით. ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი და გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ყველა მეზობელთან, ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და ჩინეთთან. დავიწყეთ შესაძლებლობების შესწავლა ინდოეთთან. ყოველივე ამით, მინდა, ხაზი გავუსვა ჩვენი მხრიდან მაქსიმალური თანამშრომლობის მზაობას აქ წარმოდგენილ ყველა ქვეყანასთან.

საქართველო მზადაა, თავისი წვლილი შეიტანოს „ახალი აბრეშუმის გზის“ ე.წ. შუა დერეფნის განვითარებაში. მოგეხსენებათ, თურქეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ოქტომბერში ავამოქმედეთ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთი, რომელმაც ცენტრალური აზიის ქვეყნები ევროპის სარკინიგზო ქსელთან ალტერნატიული მარშრუტით დააკავშირა.

მილიარდობით დოლარის ინვესტირებას ვახორციელებთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ფართო ქსელის მშენებლობაში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი რეგიონის სატრანზიტო პოტენციალის გაზრდასა და მის წამყვან სატრანსპორტო კვანძად გადაქცევას.

განსაკურებით აღსანიშნავია საპორტო ინფრასტრუქტურის ახალი განვითარების ტალღა, რასაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტის პროექტს ვუკავშირებთ, რომელიც თავისი მასშტაბებით უპრეცედენტო იქნება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და სრულიად ახალ შესაძლებლობებს გააჩენს ამ დერეფანში.

ჩვენი ფორუმი შესაძლებლობას მოგცემთ, დეტალურად გაეცნოთ ყველა ამ და სხვა მნიშვნელოვან პროექტებს და ასევე, აქტიურად წარმოაჩინოთ თქვენი ხედვა, იდეები და ბიზნესპროექტები.

აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გვახალისებს...

– საქართველოს აქვს ძალიან დიდი მიღწევები, რაც რეფორმების გატარებას და ზოგადად განვითარებას ეხება. მინდა, მივულოცო საქართველოს ყველა ეს მიღწევა. მე თვალყურს ვადევნებ საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ჩვენი ურთიერთობების განმტკიცებას. ფორუმში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია, მე წინა ფორუმსაც დავესწარი საქართველოში. მინდა პატივისცემა გამოვხატო საქართველოს მთავრობისადმი იმ მასპინძლობისთვის, რომელიც ჩვენ გაგვიწია. 2007 წელს საქართველო აზიის განვითარების ბანკის წევრი გახდა და 10 წლის განმავლობაში 2,3 მილიარდი დოლარის მობილიზება მოახერხა სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. საქართველოში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები. ამასთან, აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, შემუშავდა ახალი ხედვა, რომლის მიზანია 2020-30 წლებში პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკის, ტურიზმის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვაჭრობის და სხვა სექტორებში მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება.

EBRD-ის ვიცე-პრეზიდენტი: საქართველო არის მეორე ტალღის რეფორმების ლიდერი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში და ეს არის აშკარა პროგრესი

თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ალან პიუმ დადებითად შეაფასა საქართველოს საქმიანობა როგორც საერთაშორისო პროექტებზე მუშაობის, ისე ქვეყნის შიგნით ოთხპუნქტიანი გეგმის ფარგლებში განხორციელებული რეფორმების კუთხით.

პრეზიდენტის განცხადებით, ორგანიზაცია მხარს უჭერს აბრეშუმის გზის პროექტით გათვალისწინებულ კონტექსტს და სრულად იზიარებს აღნიშნული ინიციატივის ხედვებს და ამოცანებს. მისი განცხადებით, აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის სპონსორია.

ალან პიუმ აგრეთვე ისაუბრა იმ როლზე, რაც შეიძლება ორგანიზაციამ შემდგომში გასწიოს აბრეშუმის გზის ინიციატივის ფარგლებში. **„უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვინდა, უფრო ღრმად ჩავერთოთ პოლიტიკურ რეფორმებში ყველა პარტნიორთან. ასევე ხაზი მინდა გავუსვა კერძო სექტორის მობილიზაციის აუცილებლობას აბრეშუმის გზის კონტექსტში. სახელმწიფოს ყველაფრის გაკეთება არ შეუძლია, კერძო სექტორმა უნდა ჩადოს ფინანსები, კადრები და ძალისხმევა,** – განაცხადა EBRD-ის ვიცე-პრეზიდენტმა.

პირველი იანვრიდან ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობა ამოქმედდება

2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ამოქმედდება. ეს განცხადება საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის მინისტრის მოადგილე ციენ ქემინგთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

შეხვედრა თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში გაიმართა. შეხვედრაზე ორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩინეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარ ასპექტებსა და პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით 2018 წლის ზაფხულის სეზონიდან ვიმგზავრებთ

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით სამგზავრო გადაყვანების დაწყება 2018 წლის **ზაფხულის სეზონისთვის იგეგმება,** – ამის შესახებ ჟურნალისტებს თურქეთის საზღვაო საქმეთა და კავშირგაბმულობის მინისტრმა აჰმედ არსლანმა განუცხადა, რომელიც აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში საქართველოში იმყოფება.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სწორება არ უნდა გავაკეთოთ მხოლოდ არსებულ ტვირთებზე. თუ განვავითარებთ პორტებს, მომავალში შემოვა ახალი ტვირთები იმ პორტებისათვის. **„ასევე თუ განვავითარებთ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალს, მომავალში მოვა ტვირთები ზუსტად სარკინიგზო მაგისტრალზე, ანუ სამომავლოდ ტვირთბრუნვა ყველგან გაიზრდება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი...სეზონზე ვგეგმავთ, რომ ეს ყველაფერი განხორციელდეს“,** – განაცხადა აჰმედ არსლანმა.

შეიხი ალ ნაჰიანი საქართველოში ინვესტიციის მოცულობას აორმაგებს

არაბთა გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო მინისტრი ტოლერანტობის საკითხებში შეიხი ნაჰიან ბინ მუბარაკ ალ ნაჰიანი საქართველოში **განხორციელებული ინვესტიციის მოცულობას აორმაგებს,** – ამის შესახებ შეიხმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

საუბარია საქართველოში კონკრეტული, მსხვილი პროექტების განხორციელებაზე. არაბთა გაერთიანებული საემიროების სახელმწიფო მინისტრმა განსაკუთრებით დადებითად შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის საქმიანობა, მთავრობის მიერ აღებული კურსი და ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები, რომლებიც, მისი თქმით, საქართველოს განვითარებას და წინსვლას ემსახურება. პრემიერ-მინისტრმა სტუმარს დეტალურად გააცნო საქართველოს მოწინავე პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებში, რაც შეიხმა დადებითად შეაფასა.

მხარეებმა ასევე განიხილეს საქართველოში არაბთა გაერთიანებული საემიროების საელჩოს გახსნის შესაძლებლობა. შეიხმა აღნიშნა, რომ თბილისში დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და გამოთქვა მზადყოფნა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი აღნიშნული იდეის განხორციელებას.

კახი კალაძე აბრეშუმის გზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს შეხვდა

დედაქალაქის მერი კახა კალაძე აბრეშუმის გზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის (SRCIC) თავმჯდომარე ლიუ იანზონგს შეხვდა. **დედაქალაქის მერიაში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და თანამშრომლობის გაღრმავების სამომავლო შესაძლებლობებზე იმსჯელეს.**

შეხვედრას ვიცე-მერი ირაკლი ხმალაძე, მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი ესწრებოდნენ.

ლიუ იანზონგი აბრეშუმის გზის ფორუმზე ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელია. SRCIC-ის პრეზიდენტსა და მის დელეგაციას საქართველოში სავაჭრო-სამრეწველო პალატა მასპინძლობს.

აბრეშუმის გზის საერთაშორისო სავაჭრო პალატა 2015 წლის დეკემბერში ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონში, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC), მსოფლიო პალატების ფედერაციისა (WCF) და აბრეშუმის გზის ქვეყნების სავაჭრო პალატების მიერ დაფუძნდა და 36 ქვეყნის უმსხვილეს კომპანიებს აერთიანებს.

„გვაერთიანებს საერთო გამოწვევა – ტერიტორიული კონფლიქტები“...

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია მოლდოვას პრემიერ-მინისტრი პაველ ფილიპი. **თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა მოლდოვას პრემიერ-მინისტრის დახვედრის ოფიციალური ცერემონია, რომლის ფარგლებში მოლდოვას მთავრობის მეთაურს საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ უმასპინძლა.**

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მოლდოვას პრემიერ-მინისტრი შეხვედრას გამართავს ქართველ კოლეგასთან გიორგი კვირიკაშვილთან, პრემიერ-მინისტრების პირისპირ შეხვედრის შემდგომ გაიმართება შეხვედრა გაფართოებული შემადგენლობით, რის შემდეგაც საქართველოსა და მოლდოვას შორის ხელი მოეწერება **„საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“** კონვენციას და **„მოლდოვას რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და კვლევის სამინისტროსა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის 2018-2021 წლებისთვის თანამშრომლობის პროგრამას“.**

ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართება პაველ ფილიპის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან. მოლდოვას პრემიერ-მინისტრი მონაწილეობას მიიღებს თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში.

პრეზიდენტი შესაძლოა, ხმოსნების ნაცვლად, პარლამენტმა აირჩიოს!

საპარლამენტო უმრავლესობამ შესაძლოა, პრეზიდენტის არჩევის წესს კიდევ ერთხელ გადახედოს და კონსტიტუციაში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმად, პრეზიდენტი არა კოლეგიამ, არამედ მხოლოდ პარლამენტმა აირჩიოს. ამ საკითხზე გუშინ კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა.

„რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესს – როცა ეს საკითხი თავიდან დაისვა კომისიაში, მე უარყოფითად შევაფასე ეს მოდელი და მთავარი მიზეზი იყო ის, რომ თვითმმართველობის არჩევნები არის ადმინისტრაციული დონის არჩევნები, შესაბამისად, არ არის მაინცდამაინც სწორი ადმინისტრაციული არჩევნების გამოყენება პოლიტიკური ტიპის არჩევნებისთვის. მაშინ მოგეხსენებათ იყო ასეთი კონტექსტი, ჯერ ვადებთან დაკავშირებით არ იყო ჩამოყალიბებული პოზიცია, თუ როდის უნდა შემდგარიყო პრეზიდენტის პირველი არაპირდაპირი არჩევნები. გარდა ამისა, გამოდიოდა ისე, რომ პირველი არაპირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი იქნებოდა შერეული სისტემით არჩეული პარლამენტის მიერ. ახლა ეს კონტექსტი არის შეცვლილი და, შესაბამისად, სხვაგვარი განხილვა შეიძლება შედგეს. პარლამენტი 2024 წელს იქნება არჩეული პროპორციული წესით, ამის შემდეგ იქნება საპრეზიდენტო არაპირდაპირი არჩევნები და ახალი კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება, დაიწყოს მსჯელობა ამ ცვლილებასთან დაკავშირებით“, – აცხადებს კობახიძე.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ვანოს, ოთოს და სხვა ნაციონალებს 4 000 ევრო მიუგდო!..

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ, ივანე მერაბიშვილისთვის მორალური კომპენსაციის სახით გადახდილ იქნეს თანხა 4000 ევროს ოდენობით. თავად მომჩივანი ითხოვდა 15000 ევროს, – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თეა წულუკიანმა განაცხადა.

„მისი ადვოკატებისთვის ჰონორარის სახით მოთხოვნილი თანხების ნაწილში მომჩივნის შუამდგომლობა სრულად იქნა უარყოფილი და ამ ნაწილში სასამართლომ კომპენსაცია მომჩივნის ადვოკატებს არ მიანიჭა. ბრიტანელი ადვოკატები ითხოვდნენ 29 775 გირვანქა სტერლინგის ანაზღაურებას სახელმწიფოსგან ჰონორარის სახით, ხოლო ოთარ კახიძე, ასევე ითხოვდა ჰონორარის სახით სახელმწიფოსგან 43 641 აშშ დოლარის ანაზღაურებას“, – განმარტავენ იუსტიციის სამინისტროში.



„სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ივანე მერაბიშვილის დაკავება, ასევე წინასწარი პატიმრობა, რომელიც გაგრძელდა 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე, იყო კანონიერი.

სასამართლომ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი განხილვის საგანს ამ საჩივრის ფარგლებში არ წარმოადგენდა ივანე მერაბიშვილის გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე პატიმრობის კანონიერების განხილვა.

კერძოდ, დიდმა პალატამ გასაჩივრებულ მუხლებთან მიმართებით:

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 5.1 მუხლი, რაც შეეხება ივანე მერაბიშვილის დაკავების კანონიერებას.

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 5.1 მუხლი, რაც შეეხება ივანე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის კანონიერებას (2013 წლის მაისი-2014 წლის თებერვალი).

ივანე მერაბიშვილი როგორც მისი დაკავების უკანონობას, ასევე 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე პერიოდში მის წინასწარ პატიმრობაში უკანონოდ ყოფნას ამტკიცებდა, რაც სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ არ გაიზიარა.

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 5.3. მუხლი, რაც შეეხება ივანე მერაბიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. კერძოდ, ჩაითვალა, რომ 2013 წლის 22 და 25 მაისის სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადო დასაბუთებას შეიცავდა და ამ მუხლის სტანდარტებს აკმაყოფილებდა.

ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის 5.3. მუხლი 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით, რადგან მოსამართლემ ივანე მერაბიშვილის შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის თაობაზე უარყო ზეპირად და დასაბუთების გარეშე.

9 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტიდან გამომდინარე (ივანე მერაბიშვილის ღამით საკნიდან გაყვანის ეპიზოდი).

სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა და დაასაბუთა, რომ ივანე მერაბიშვილის პატიმრობასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში არ იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივები და რომ ამ მხრივ მომჩივნის არგუმენტები ვერ იქნებოდა გაზიარებული (იხ. პუნქტ. 320-329). თუმცა, მან დაადგინა, რომ საკნიდან გაყვანის ფაქტი შეუსაბამო იყო მე-18 მუხლის მიზნებთან და ამ ნაწილში მომჩივნის არგუმენტები გაიზიარა.

მე-18 მუხლთან დაკავშირებით ხმების ამგვარად გაყოფის პირობებში, 8 მოსამართლემ, რომელმაც მე-18 მუხლის დარღვევას მხარი არ დაუჭირა, გადაწყვეტილებას დაურთო განსხვავებული აზრი. მათ შორისაა სტრასბურგის სასამართლოს თავმჯდომარეც“, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

◎ სტრასბურგის სასამართლოს გუშინდელი გამოძახილი

ორი გვამი, ორი გვამი...

მივმართავ მკვლელ ვანო მერაბიშვილს!

„ორი გვამი, ორი გვამი მჭირდება“ – ყვიროდი. საკაშვილთან ერთად ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადე. შეგახსენო შენი ბრძანებით მოკლული ახალგაზრდები: გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი და კიდევ რამდენი უდანაშაულო ადამიანი?! იქნებ შენ მიერ მოწყობილი სისხლიანი 26 მაისი დაგავიწყდა ან მიშას და შენ მიერ დაგეგმილი ცოცხების ეპოპეა? დაგავიწყდა, როგორ მუქარით წაართვი კვარიათში სახლი მესაკუთრეს? შეგახსენებ, როგორ დარაზმე პოლიციელები და აძახებინე ბადრი პატარკაციშვილის გინება სიტყვებით: ბადრის რა?! დედის...“. შეგახსენებ შენს სრულიად დაუსაბუთებელ, ნაჩქარევ, საგანგებოდ „დადგმულ“ განცხადებას ზურაბ ჟვანიას გაზით „გაგუდვის“ შესახებ.



სწორედ შენი მმართველობის დროს გადაიქცა საქართველო ნარკოტრანზიტის ქვეყნად და საკმაოდ დიდი რაოდენობა ნარკოტიკებისა რჩებოდა ქვეყნის შიგნით.

მიშას სიტყვებით, შენ ღატაკი, გაღლეტილი ყოფილხარ. კიდევ კარგი უფასოდ გაჭმევენ ციხეში...

ნაციონალებმა ბევრი იჩალიჩეს, მაგრამ ვერც სტრასბურგის გუშინდელმა გადაწყვეტილებამ „გაათეთრა“ შენი შავი საქმეები.

P. S. მერაბიშვილს დამცველები გამოუჩნდა ევროპარლამენტის სახალხო პარტიის დეპუტატების სახით – როგორ დაიჭირეს მერაბიშვილიო? ციხეში მონახულებისას წუხილი გამოთქვეს – წონაში დაიკლოო. იქნებ მონახულებისას სასწორი მოგეტანათ და ზუსტად გაგეგოთ, რამდენი დაიკლო თქვენმა საამაყო მეგობარმა?

ყოჩაღ, ევროპარლამენტის სახალხო პარტიის ნაციონალებო!

ლონდა მდივანი

ყოფილი პროკურორი გახარიას მოადგილედ დაინიშნა

შს მინისტრმა გახარიამ თავის მოადგილედ და სამინისტროს საპარლამენტო მდივნად ნათია მეზვრიშვილი დანიშნა.

– იგი სამართლის მაგისტრია. 2007-2009 წლებში ნათია მეზვრიშვილი ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი იყო. 2009-2013 წლებში კი საქართველოს მთავარ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, კერძოდ: საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის პროკურორი, ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორი, შს სამინისტროს რეგიონულ ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს უფროსი, იურიდიული სამმართველოს უფროსი. 2013 წლის დეკემბრიდან იგი საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა.

ტყუილია, არანაირი ორი ადამიანი გაქცეული არ არის

გარწმუნებთ, არანაირი ორი ადამიანი არ გაქცეულა, ეს **არის ტყუილი,** – ასე გამოეხმაურა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, 22 ნოემბერს ანტიტერორისტული სპეცოპერაციისას ორმა პირმა გაქცევა შეძლო. **„მინდა ყველა დავარწმუნო იმაში, რომ აბსოლუტურად ყველა კითხვას პასუხი გაეცემა, ამიტომ ოპოზიციის მიერ გამოთქმული ეჭვები არის აბსოლუტურად უსაფუძვლო. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა მივცეთ გამოძიებას საშუალება, რომ გარკვეული პროცედურები გაიარონ. ხაზს გავუსვამ, რომ გამოძიება ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობს. ჩვენი სპეცსამსახურები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ“,** – განაცხადა სესიაშვილმა.

პირველად საქართველოში სტარტაპ სასტუმროების დაფინანსება იწყება

თიბისი ბანკი პროგრამა „სტარტაპერის“ ფარგლებში ინოვაციურ პროექტს -„სტარტაპსესხი სასტუმროებისთვის“ იწყებს და ტურიზმის მიმართულებით დაინტერესებულ პირებს უპრეცედენტო პროდუქტს სთავაზობს. პროექტის – „სტარტაპ-სესხი სასტუმროებისთვის“ ფარგლებში, თიბისი ბანკი დააფინანსებს როგორც ბიზნესიდეას ახალი სასტუმროების ასაშენებლად (საოჯახო სასტუმრო, ჰოსტელი, აპარტამენტი, ტურისტებზე გათვლილი განთავსების სხვა საშუალება) ისე არსებულ სასტუმროებს. პროდუქტის უპირატესობა და უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ სესხის ძირის დაფარვას მეპატრონე სასტუმროს შემოსავლების მიღების შემდეგ დაიწყებს. პროექტის ფარგლებში, სტარტაპსესხის გამოყენება შესაძლებელია სასტუმროს ასაშენებლად, შესაძენად, გასარემონტებლად ან მის მოსაწყობად სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. პროექტში ჩართვა იმ სასტუმროებს შეუძლიათ, რომლებიც ტურისტულად აქტიურ რეგიონში მდებარეობს. სესხის მინიმალური მოცულობა 20 000 ლარია, ხოლო მაქსიმალური – 3, 500 000 ლარი. საშეღავათო პერიოდია მაქსიმუმ 30 თვე, რომელიც მოიცავს მშენებლობა/რემონტისა და ოპერირების პერიოდს. სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა 120-150 თვეა.

112-ის მომსახურების საფასური ანტიკონსტიტუციურია

იურისტმა ლევან ალაფიშვილმა, 112-ის მომსახურების საფასურის გაუქმების მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა.

როგორც მან „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას განმარტა, მოქალაქე საფასურის სანაცვლოდ არ იღებს მომსახურებას, რაც თავისთავად, კანონდარღვევაა, რადგან საფასურს ყოველთვის თან სდევს კონკრეტული მომსახურების ვალდებულება.

„გასაჩივრებული მაქვს ორი ნორმატიული აქტი, ერთი არის კანონის კონკრეტული ნორმა, რომლითაც შექმნილია 112 და განსაზღვრულია მთავრობის უფლებამოსილებად, რომ საფასურების დაწესება შეუძლია და მეორე, მთავრობის დადგენილების ორი მუხლი, რომლითაც საფასური ფიზიკური პირებისთვის 20 თეთრის, ხოლო იურიდიული პირებისთვის 50 თეთრის ოდენობით განისაზღვრა, ამ საფასურის ამოღება კი დაეკისრათ მობილურ ოპერატორებს. იმის გათვალისწინებით, რომ რიგითი მოქალაქე არავითარ მომსახურებას არ იღებს საფასურის სანაცვლოდ, ეს, თავისი შინაარსით, ძალიან მიემსგავსება გადასახადს, რადგან გადასახადი არის უპირობოდ შესასრულებელი ფინანსური ვალდებულება, საფასურს კი ყოველთვის თან სდევს კონკრეტული მომსახურება“, – ამბობს ალაფიშვილი.

როგორც იურისტი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ თვეში 20 თეთრი(ფიზიკური პირებისთვის) და 50 თეთრი (იურიდიული პირებისთვის)შესაძლოა, მოქალაქეებს არ ეჩვენებოდეთ დიდ თანხად და ამიტომაც, არ აპროტესტებდნენ აღნიშნულს, ამ მომსახურებით მიღებული შემოსავალი ბიუჯეტში, წლიურად, 7-7.5 მილიონ ლარს აღწევს. „8-9 წელია, საჯარო სამართლის იურიდიული პირების მომსახურების საფასურების ტარიფების დაუსაბუთებლობისა და სისტემური გაუმართაობის შესახებ ვსაუბრობ, მაგრამ სამწუხაროდ, საკითხი გადაუწყვეტელია, პრობლემა რჩება პრობლემად. როგორც ჩანს, ყველა მთავრობისთვის ძნელი აღმოჩნდა, შელეოდა იმ ცდუნებას, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებელი დაეთმო. ეს ერთ-ერთია სხვა ინსტიტუტებთან და დაწესებულებებთან ერთად, სადაც ანალოგიური პრობლემები არსებობს. ამიტომაც, მოცდას ვამჯობინე მოქმედება. შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება და გავგზავნე კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში“ – განაცხადა ლევან ალაფიშვილმა.

ბანკირების „ფოკუს-მოკუსი“

კომერციული ბანკების მფლობელები, კერძო პირთა მცირე ჯგუფი, თავიანთი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, არაფორმალურად წყვეტენ, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს უფლება არავის მიუნიჭებია.

„მევახშეობა ჩაფიქრებულია უკანონობით და შობილია მანკიერებით. ბანკირებს ეკუთვნის მთელი მსოფლიო. წაართვით მათ იგი, მაგრამ დაუტოვეთ ფულის შექმნის ძალაუფლება და ისინი კალმის ერთი გაკვრით შექმნიან საკმარის ფულს, რათა უკანვე გამოისყიდონ იგი.“

საქართველოში ეკონომიკის საბანკო სექტორი ორგანიზებულია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით. მაგრამ საქმე ისაა, რომ დასავლეთის საბანკო სისტემას და მონეტარულ პოლიტიკას გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები და გახდნენ მწვავე კრიტიკის ობიექტი თვითონ დასავლეთში. ამის შესახებ წერენ ცნობილი მეცნიერები (რ. ვერნერი, ა. ტერნერი, ბ. დაისონი, ჯ. რაიან-კოლინსი, ჯ. ბენესი, მ. კამპოფი, ს. კინი, ჯ. სტიგლიცი და სხვ., და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თვით ცნობილი ბანკირებიც). საზოგადოების უმრავლესობა არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენად აბსურდული, სოციალურად უსამართლო და რისკების შემცველია კომერციული ბანკების საქმიანობა.

თანამედროვე საბანკო სისტემა, მათ შორის საქართველოშიც, არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ამას აღწერენ სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების თანახმად: 1) ბანკები არიან უბრალო შუამავლები დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის; და 2) ბანკები კრედიტებს აძლევენ მეწარმეებს ბიზნეს-ინვესტიციების დასაფინანსებლად. არც პირველი, არც მეორე დებულება არ შეესაბამება სინამდვილეს. ბანკები არიან არა შუამავლები, არამედ, თვით ქმნიან და ანაწილებენ ფულს დაკრედიტების პროცესში. ხოლო საწარმოო ინვესტიციების მიზნებზე გაიცემა კრედიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. კრედიტების ძირითადი მასა გაიცემა უძრავი ქონების შესაძენად, სპეკულაციურ და სამომხმარებლო მიზნებზე. ბანკების ასეთი საქმიანობა მომგებიანია მათთვის და არა საზოგადოებისთვის.

გერმანელი ეკონომისტის, პროფ. რ. ვერნერის თანახმად, იურიდიული თვალსაზრისით, ის, რასაც ბანკი უწოდებს კრედიტის გაცემას, სინამდვილეში არ არის კრედიტის გაცემა. რადგან, იურიდიული თვალსაზრისით, კრედიტის გაცემა გულისხმობს, რომ კრედიტის სახით გაცემული საგანი, ფიზიკურად ამოღებული იქნება ერთი სუბიექტის სარგებლობის სფეროდან და დროებით სარგებლობაში გადაეცემა მეორე სუბიექტს. მაგრამ, თანამედროვე ბანკის მიერ კრედიტების გაცემის დროს არ ხდება ფულით სარგებლობის უფლების გადაცემა ერთი სუბიექტიდან მეორესთვის. აქ საერთოდ არ ხდება ფულის, როგორც მსყიდველობითი უნარის, საიდანმე ამოღება. ამიტომ ეს პროცესი არ არის კრედიტის გაცემა სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბანკები არ **გასცემენ** ფულს კრედიტების სახით, არამედ **ქმნიან** მას. იგი წერს: „განსხვავებით იმისაგან, რაც წერია სახელმძღვანელოებში, ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველ ინდივიდუალურ ბანკს შეუძლია ასე შექმნას ფული, როდესაც იგი გასცემს სესხს. ამ ჭეშმარიტების ჩვენება სახელმძღვანელოებში... ასწავლის სტუდენტებს, თუ სინამდვილეში რას აკეთებენ ბანკები: ისინი ქმნიან ფულს არაფრიდან. ბანკი მხოლოდ ახდენს იმის სიმულირებას, თითქოს მას აქვს სესხის თანხა, რომლითაც დაკრედიტებულია მავანის ანგარიში, და არავინ იცის ამ განსხვავების შესახებ.“ (Werner R., New Paradigm in Macroeconomics. New York, N. Y, 2005, p. 178)

ბანკების ასეთ ქმედებას რ. ვერნერი განიხილავს არა როგორც კრედიტის გაცემას, არამედ როგორც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. როდესაც კლიენტი ხელს აწერს საკრედიტო შეთანხმებას, კანონის თანახმად იქმნება ფასიანი ქაღალდი. ეს არის კლიენტის სავალო ვალდებულება ბანკის წინაშე. ბანკი ყიდულობს კლიენტისაგან ამ სავალო ვალდებულებას. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სწორედ ეს ხდება კომერციულ ბანკებში. მაგრამ რით იხდის ბანკი ამ ფასიანი ქაღალდის საფასურს? საფასურს იგი იხდის შემხვედრი ვალდებულებით. კერძოდ, ბანკი ხსნის კლიენტის სახელზე მოთხოვნამდე დეპოზიტს. ეს ახლად შექმნილი დეპოზიტი სწორედაც არის ახალი ფული, რომელიც ბანკმა შექმნა „არაფრიდან“.

მსყიდველობითი უნარის ან ფასებზე ზემოქმედების თვალსაზრისით დეპოზიტი, როგორც კრედიტი, არ განსხვავდება ნაღდი ფულისაგან. მაგრამ თუ იგი არსებობს მხოლოდ როგორც ჩანაწერი საბანკო კომპიუტერების მეხსიერებაში, როგორ იყენებენ მას რეალურ ეკონომიკურ პროცესებში? საქმე ისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში კლიენტებს არ სჭირდებათ ნაღდი ფულის გამოტანა ბანკებიდან, რადგან 95%-ზე მეტი გადახდები თანამედროვე ეკონომიკაში ხორციელდება უნაღდო ფორმით, ანუ ტრანსაქციების დიდი უმრავლესობა ხდება „ანგარიშიდან ანგარიშზე“, და არა „ხელიდან ხელში“. ხოლო ნაღდ ფულზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ბანკებს სჭირდებათ ძალზე უმნიშვნელო რეზერვები. რადგან რეალურ ეკონომიკაში ნაღდი ფულით ტრანსაქციები არ აღემატება 5%-ს.

მართალია, საზოგადოებამ არ იცის, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის 95%-ს შეადგენს საბანკო დეპოზიტები და რომ ამ საბანკო ფულს ბანკები ქმნიან „არაფრიდან“, მაგრამ თვითონ ბანკირებმა იციან ამის შესახებ: „ევროსისტემაში, ფული იქმნება, პირველ რიგში, საბანკო კრედიტის გაფართოების ზრდის მეშვეობით. ... კომერციულ ბანკებს თვითონ შეუძლიათ ფულის შექმნა... .“ (Bundesbank, 200;); „რადგან დეპოზიტები და საბანკო დაკრედიტება თითქმის იდენტურია, ფული და კრედიტი ხშირად გამოიყენება თითქმის თანაბრად, როგორც ურთიერთჩანაცვლებადიც კი „(Bank, of England, 2008) ; „თანამედროვე საბანკო სისტემა ფულს ქმნის არაფრიდან. ეს პროცესი არის, შესაძლოა, ყველაზე უფრო დაუჯერებელი ფოკუსი ოდესმე მოფიქრებული. **მევახშეობა ჩაფიქრებულია უკანონობით და შობილია მანკიერებით. ბანკირებს ეკუთვნის მთელი მსოფლიო. წაართვით მათ იგი, მაგრამ დაუტოვეთ ფულის შექმნის ძალაუფლება და ისინი კალმის ერთი გაკვრით შექმნიან საკმარის ფულს, რათა უკანვე გამოისყიდონ იგი.“** (სერ ჯოზაია სტემპი, ინგლისის ბანკის მმართველი 1928-1941 წლებში.)

თუ კრედიტების გაცემის დროს იქმნება საბანკო ფული, იგი ასევე ნადგურდება ვალის დაბრუნებისას. ეკონომიკაში კრედიტების გაცემის და ვალების დაბრუნების პროცესში ბანკები ყოველდღიურად მასიურად ქმნიან და ანადგურებენ ფულს. ბანკები პერმანენტულად უნდა ქმნიდნენ ახალ კრედიტებს, რათა შეეძლოთ დაბრუნებული ვალების კომპენსირება. იმაზე, თუ როგორია რისკისადმი მიდრეკილება, და რამდენად აქტიურად ხდება ახალი კრედიტების გაცემა, და რამდენი მოვალე აბრუნებს ვალს, დამოკიდებულია, გაიზრდება თუ შემცირდება ეკონომიკაში ფულის მასა, ერთობლივი მოთხოვნა და ეკონომიკური ზრდის ტემპები.

მთელი ეს პერიოდი – კრედიტების გაცემიდან ვალების დაბრუნებამდე – ბანკები იღებენ პროცენტს. ეს არის მათი შემოსავალი. ამასთან, მართალია კრედიტების გაცემისას ფული იქმნება „ჰაერიდან“, მაგრამ მსესხებელმა გირაოში უნდა ჩადოს რეალური აქტივები (სახლი, მიწის ნაკვეთი, ბინა, მანქანა და სხვ.). ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ბანკი სრულიად კანონიერ საფუძველზე ითვისებს ამ ქონებას, რომელსაც აქვს რეალური ღირებულება, ანუ ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ფიქტიური ფულის სანაცვლოდ ბანკი ღებულობს კომპენსაციას რეალური აქტივებით.

გარდა იმისა, რომ ბანკები **ქმნიან** ეკონომიკაში მსყიდველობით უნარს, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისინი თვითონვე **ანაწილებენ** მას მსესხებლებს შორის, რადგან ბანკები იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ ვის და რა მიზნებისათვის მისცენ კრედიტი და ვის უთხრან უარი. ცხადია, ბანკები, როგორც კერძო ორგანიზაციები, ამ გადაწყვეტილებებს ღებულობენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ნეოლიბერალური პოლიტიკა მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბანკებს. ასეთ პირობებში, კერძო ბანკები ცდილობენ, დააკრედიტონ მოკლევადიანი და ნაკლებ სარისკო პროექტები. კრედიტების უმეტესობა გაიცემა იმპორტის, ვაჭრობის, უკვე არსებული უძრავი ქონების შეძენის, სამომხმარებლო მოთხოვნის, სპეკულაციური გარიგებების დასაფინანსებლად. ნაკლებად ხდება გრძელვადიანი საწარმოო ინვესტიციების დაფინანსება. ეს ფული ხელს არ უწყობს უშუალოდ სამუშაო ადგილების შექმნას. ისინი მხოლოდ ზრდიან ცხოვრების ღირებულებას, ეკონომიკურ უთანაბრობას და ფინანსურ არასტაბილურობას.

ასეთი პოლიტიკის შედეგად უფრო და უფრო მეტი კრედიტები ხმარდება არა საწარმოო პოტენციალის ზრდას, არამედ იმას, რომ მოსახლეობამ მოიხმაროს მეტი, ვიდრე აქვს შემოსავალი. ცხადია, კრედიტების ტოტალური ზრდა ვერ გაგრძელდება უსასრულოდ. ადრე თუ გვიან ვალები უნდა დაიფაროს მომავალი შემოსავლებიდან. ეს ნიშნავს, რომ მომავალში მოთხოვნა შემცირდება და გამოიწვევს მშპ-ს ვარდნას. კრიზისი ხდება გარდუვალი. რაც უფრო ბევრი ვალები დაგროვდება, მით იფრო ღრმა იქნება მომავალი კრიზისი. ამ სცენარით განვითარდა პროცესები, რომლებმაც წარმოშვეს „დიდი დეპრესია“, 2008 წლის მსოფლიო კრიზისი და მრავალი სხვა კრიზისი.

კრედიტზე ირიცხება პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, მთლიანად საბანკო სისტემას უნდა დაუბრუნდეს მეტი ფული, ვიდრე გაცემული იქნა კრედიტების სახით. და რადგან ფული იქმნება კრედიტების სახით, და კრედიტებს ქმნიან ბანკები, ამიტომ კრედიტების დასაფარი ფულისთვის ასევე საჭიროა კრედიტები, რომელსაც ასევე ერიცხება პროცენტები და რომლის დასაფარავად ისევ საჭიროა პროცენტიანი კრედიტები და ა.შ. ამის შედეგად პროცენტტების და კრედიტების რაოდენობა გამუდმებულად იზრდება. შესაბამისად იზრდება ფულის მასაც და ინფლაციაც, მცირდება ფულის მსყიდველობითი უნარი და აქედან მთელ სარგებელს ღებულობენ ბანკები. ცნობილი ესპანელი ეკონომისტი დე სოტო წერს: „ორივე საქმიანობა – დეპოზიტების შექმნა და ბანკნოტების ემისია – ახდენს მნიშვნელოვანი აქტივების გენერირებას ბანკებისთვის, რომლებიც თანდათან ართმევენ ამ სიმდიდრეს ბაზრის ყველა სხვა მონაწილეს ისეთი პროცესის მეშვეობით, რომლის ვერც გაგება, და ვერც იდენტიფიცირება საბაზრო აგენტებს არ შეუძლიათ, – პროცესისა, რომელიც იწვევს ამ ქვეყანაში გამოყენებული ფულის ერთეულის მსყიდველობითი უნარის შეუმჩნეველ დაქვეითებას. .... ამ გზით ბანკები ითვისებენ უზარმაზარ სიმდიდრეს... .“ (de Soto J., Money, Bank Credit, and Economic Cycles, Mises Institute, Auburn, Alabama, 2006, p. 248.)

თუ მიკრო დონეზე ყოველი კერძო ბანკი თვითონ ქმნის, და თვითონვე ანაწილებს ფულს და მსყიდველობით უნარს, ეს ნიშნავს იმას, რომ მაკრო დონეზეც მსყიდველობითი უნარის და ფულის განაწილება ქვეყანაში დამოკიდებულია კერძო ბანკების გადაწყვეტილებებზე და მათ ინტერესებზე. ამიტომ, კომერციული ბანკების კოლექტიურ გადაწყვეტილებებზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის რომელ სექტორში განხორციელდება ინვესტიციები, რომელი დარგები განვითარდება, როგორი იქნება ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობა, დასაქმება, ინფლაცია, ზრდის ტემპები და ა.შ. ფაქტიურად კომერციული ბანკების მფლობელები, კერძო პირთა მცირე ჯგუფი, თავიანთი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე, არაფორმალურად წყვეტენ, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ეს უფლება არავის მიუნიჭებია.

ზემოთქმული ახასიათებს საერთოდ თანამედროვე საბანკო სისტემას. მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების უფრო სრული სურათის შესაქმნელად, საჭიროა გავითვალისწინოთ, ჯერ ერთი, ეკონომიკის ძალზე დიდი გახსნილობა (იმპორტის წილი შეადგენს მშპ-ის 50%-ზე მეტს) და, მეორეც, დოლარიზაციის მაღალი დონე. მრავალი მსხვილი გარიგება რეალურად ხდება დოლარებში და კრედიტების დიდი რაოდენობა გაიცემა დოლარებში. ეს ნიშნავს იმას, რომ **კომერციული ბანკები „არაფრიდან“ ქმნიან უნაღდო დოლარებს ისევე, როგორც უნაღდო ლარებს. ამიტომ სავალუტო კურსი დიდად არის დამოკიდებული არა მარტო ექსპორტის და იმპორტის თანაფარდობაზე, უცხოურ ინვესტიციებზე ან გზავნილებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორია ლარებში და დოლარებში გაცემული კრედიტების თანაფარდობა. თუ დოლარიზაციის შემცირების მიზნით ეროვნული ბანკი შეეცდება გავლენა იქონიოს კომერციულ ბანკებზე, რათა შეზღუდონ კრედიტები დოლარებში, ამის შედეგი იქმნება ლარის კურსის ვარდნა, რადგან შეიცვლება მიმოქცევაში არსებული ლარის და დოლარის მასების თანაფარდობა.** როგორც წესი, სავალუტო კურსის მკვეთრი ცვლილებების მიზეზების ახსნისას, ეს ფაქტორი ნაკლებად არის გათვალისწინებული ეკონომიკური ექსპერტების მიერ. ამიტომ კურსის მკვეთრი რყევები ხშირად რჩება აუხსნელი, რაც ხელს უშლის ადეკვატური მონეტარული პოლიტიკის შემუშავებას.

ნეოლიბერალური პოლიტიკა ხელს უწყობს ბანკების მხრიდან საკრედიტო ექსპანსიას. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში კომერციული ბანკების მიერ კერძო სექტორში გაცემული კრედიტების თანაფარდობა ნომინალურ მშპ-სთან გაიზარდა 9%-დან 2001 წელს 50%-მდე 2015 წელს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში კრედიტების მოცულობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებო-

და უფრო სწრაფად, ვიდრე ნომინალური მშპ. კრედიტების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 28,1%-ს, ხოლო ნომინალური მშპ-ს ზრდა – 12,0%-ს. ეს ნიშნავს, რომ ამ პერიოდში მოთხოვნა დიდწილად იზრდებოდა საკრედიტო ექსპანსიის ხარჯზე და, რომ საქართველოში კრედიტების გაცემა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ს ზრდის ტემპების შესანარჩუნებლად. ამის გარეშე მშპ დაიწყებს ვარდნას. ეს არის ძალზე არაჯანსაღი ტენდენცია და მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკაში ყალიბდება საფინანსო ბუშტი, რაც, როგორც წესი, მთავრდება კრიზისით.

საბანკო სისტემის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად არსებობს მრავალი პროექტი. მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს რეგულაციები არა მარტო კრედიტების მოცულობაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ განაწილდეს კრედიტი ეკონომიკის დარგებს შორის და რამდენად შეიზღუდოს არამწარმოებლური კრედიტები (სამომხმარებლო ან სპეკულაციური მიზნებისთვის). 2008 წლის კრიზისის შემდეგ ასეთ პრაქტიკას მიმართეს ზოგიერთ ქვეყანაში. მაგალითად, ინგლისის ბანკმა უპირატესობა მიანიჭა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას, ევროპის ბანკმა – იპოთეკურ კრედიტებს, ჩინეთის ბანკმა – აგრარულ კრედიტებს და მცირე ბიზნესს, კორეის ბანკმა – მცირე და საშუალო ბიზნესს.

საბანკო სისტემის მთავარ კანონზომიერებას წარმოადგენს ის, რომ მსხვილი ბანკები ცდილობენ კრედიტების გაცემას მსხვილ მსესხებლებზე და ნაკლებად ინტერესდებიან მცირე ბიზნესით. ხოლო მცირე ზომის ბანკები ძირითადად აკრედიტებენ მცირე და საშუალო ბიზნესს, რასაც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის. **რ. ვერნერი მიიჩნევს, რომ პრობლემის გადაჭრას წარმოადგენს მცირე ზომის ბანკების შექმნა. მას მაგალითად მოჰყავს გერმანიის საბანკო სისტემა. გერმანიაში ბანკების 70%, ანუ 1500 ბანკი, არის სახალხო ბანკი. ფაქტურად გერმანიაში ბანკების უმრავლესობას წარმოადგენენ პატარა ბანკები. ისინი არიან გერმანიის ეკონომიკის წარმატების ერთ-ერთ მთავარი ფაქტორი. ისინი არიან მცირე და საშუალო ფირმების ძირითადი კრედიტორები, უზრუნველყოფენ სტაბილურ ზრდას, არ წარმოშობენ საბანკო კრიზისებს. გერმანიაში 200 წლის მანძილზე არც ერთ დეპოზიტორს არ დაუკარგავს ფული.**

2008 წლის კრიზისის შემდეგ ჯ. ბენესმა და მ. კამპოფმა წარმოადგინეს საბნკო სისტემის რეფორმის უფრო ფუნდამენტური პროექტი, რომელიც გულისხმობს საბანკო სისტემაში დეპოზიტების ნაწილობრივი რეზერვების ჩანაცვლებას 100 %-ტიანი რეზერვებით. არსებობს უფრო რადიკალური პროექტებიც. ცხადია ერთი, რომ დასავლეთში აცნობიერებენ თანამედროვე საბანკო სისტემის უმწვავეს პრობლემებს და აქტიურად ეძებენ მისი რეფორმირების გზებს. ეს პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის მსოფლიო კრიზისის შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ საბოლოო ჯამში სწორედ საკრედიტო ექსპანსია იყო ამ კრიზისის მაპროვოცირებელი ფაქტორი. ინგლისის პარლამენტშიც კი იქნა განხილული საბანკო სისტემის ძირფესვიანი რეფორმირების საკითხი. სამწუხაროდ, საქართველოში ეს პრობლემა არა თუ არ არის გაცნობიერებული, არამედ საბანკო სისტემა მიჩნეულია ეკონომიკის ყველაზე წარმატებულ სექტორად. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ინგლისელი ეკონომისტის ა.ტერნერის მოსაზრება, რომ „ხედავენ რა ამ ქაოსს, რომელიც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას დამართა თავისუფალი საფინანსო ბაზრების ღირსებებში უზომო რწმენამ, განვითარებადი ქვეყნების მთავრობებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სწრაფი და ყოვლისმომცველი ფინანსური ლიბერალიზაციის მოჩვენებით უპირატესობებთან დაკავშირებით. ... კრედიტების და ფულის შექმნის პროცესები შინაგანი ბუნებით იმდენად განსხვავდებიან სხვებისაგან და იმდენად სოციალურია, რომ მათთან მიმართებაში არ უნდა იყოს გამოყენებული თავისუფალი ბაზრის პრინციპები.“ (Tumer A. Between, Debt and Devil: Money, Credit, and Fixing Global Finance. Pronceton Univerity Press, 2016. p. 10) და მართლაც, რა მივიღეთ ლიბერალური პოლიტიკის შედეგად? ბანკები აფინანსებენ, ერთი მხრივ, საქონლის იმპორტს, მეორე მხრივ, მის რეალიზებას (სამომხმარებლო კრედიტების მეშვეობით); ამიტომ იზრდება იმპორტი, სავაჭრო დეფიციტი და ქვეყნიდან გაედინება მსყიდველობითი უნარი; ქვეყანა გადაიქცა ვაჭრობის პოლიგონად. საკრედიტო ექსპანსიის რეალური შედეგია ის, რომ: 1) რიგითი მომხმარებლები მოიხმარენ მეტს, ვიდრე აქვთ შემოსავლები და ეფლობიან ვალებში; 2) მშპ-სთან შედარებით კრედიტების წინმსწრები ტემპით ზრდა ხდება აუცილებელი პირობა მშპ-ს ზრდის შესანარჩუნებლად, რის გამოც იქმნება „საფინანსო ბუშტი“, ეკონომიკა ხდება ფინანსურად არასტაბილური, რაც ადრე თუ გვიან გამოიწვევს კრიზისს; 3) გაცემული კრედიტები იქმნება „ჰაერიდან“, რაც იწვევს ფულის გაუფასურებას და საზოგადოების მსყიდველობითი უნარის შემცირებას, ანუ ხალხს ერთდროულად აძლევენ სესხებს და თან ართმევენ მსყიდველობით უნარს. ამ პოლიტიკის შედეგად მოგებას ნახულობენ ბანკები და იმპორტიორები, ხოლო მოსახლეობა ეფლობა ვალებში; „საფინანასო ბუშტი“ და კრიზისი ხდება გარდაუვალი. ეს პროცესები ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს და ეკონომიკა მოექცა „ხაფანგში“, საიდანაც ვეღარ გამოდის ლიბერალური ცრურწმენების გამო.

თუ გარდაქმნების პირველ წლებში „შოკური პრივატიზაცია“ იყო „ლეღვის ფოთოლი“ აშკარად კრიმინალური მოქმედებებისთვის და ხალხის გაძარცვისთვის, თანამედროვე კომერციული ბანკები უკვე სრულიად ლეგალურად აგრძელებენ ხალხის ძარცვას ყველას თვალწინ. და ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ეს შესაძლებელი გახდა რთულად ორგანიზებული საფინანსო სისტემის წყალობით, რომელიც აგებულია ნეოკლასიკური თეორიის მონეტარისტულ დოგმებზე.

„აპრილის ყოველთვიურ ანგარიშში ბუნდესბანკი დაგვიანებით დაეთანხმა ინგლისის ბანკს და ნათლად განაცხადა, რომ სახელმძღვანელოების უმრავლესობაში ბანკების და ფულის შექმნის პროცესის ინტერპრეტაცია მცდარია: ბანკები არ არიან შუამავლები; ისინი ქმნიან ფულს ex-nihilo (არაფრიდან).“ (Haering N. Bundesbank rejects 100%-money Based on sophistry and false claims. May 11, 2017. htt://norberthaering.de/en/32-english/new/830-buba-100-percent.money).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი გაიმეორებს ინგლისისა და გერმანიის ცენტრალური ბანკების გამოცდილებას და გააკეთებს სათანადო განცხადებას. სახელმძღვანელოებში (ასევე თვით ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე) ამ საკითხების არასწორი ინტერპრეტაციის აღიარება, ჩაითვლება პირველ ნაბიჯად სწორი მიმართულებით. ადრე თუ გვიან, ამის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა საქართველოში აბსურდული, სოციალურად უსამართლო და ეკონომიკურად მადესტაბილიზებელი საბანკო სისტემის რეფორმირების გზების ძიება.

საქართველო უნდა გახდეს დასავლური სამყაროს ნაწილი და სავსებით ცხადია, რომ ჩვენთვის არ არსებობს სხვა ალტერნატივა. მაგრამ, ამასთან საჭიროა ვაცნობიერებდეთ, რომ გარდა იმისა, რაც მართლაც ღირებულია და მისაბაძია, დასავლეთში მრავლად არის ისიც, რაც სრულიად მიუღებელია საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა თუ ზნეობისთვის. ამიტომ, დაუშვებელია დასავლური კანონების, ინსტიტუტების და სხვა ატრიბუტების მექანიკური კოპირება. მით უფრო, რომ დასავლეთზე აპელირებით ხელისუფლება, რიგ შემთხვევაში, ახდენს იქიდან იმის კოპირებას, რაც ეხმიანება მცირე ელიტარული ჯგუფის, და არა საზოგადოების ინტერესებს. დასავლეთიდან საჭიროა გადმოვიღოთ მხოლოდ ის, რაც თავსებადია ჩვენს თვითმყოფადობასთან და აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის. დასავლეთი არ არის მხოლოდ ის, რასაც აცხადებს დასავლეთის ოფიციოზი, არამედ ისიც, რასაც ფიქრობენ, ამბობენ და აკეთებენ ისინი, ვინც აკრიტიკებს და უპირისპირდება მას; ისინი, ვინც არ ეგუება უსამართლობას, სისასტიკეს და ძალადობას, რასაც არ არის მოკლებული დასავლური სამყარო ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო.

თუ გვინდა გავხდეთ დასავლური სამყაროს ღირსეული წევრი და არა მისი მახინჯი დანამატი, პირველ რიგში უნდა ვისწავლოთ ჩვენი ინტერესების დაცვა; ლეგიტიმური ფორმებით პროტესტის გამოხატვა ხელისუფლების უსამართლო ქმედებებზე. მართალია დასავლეთი გვეხმარება რუსეთის იმპერიული ზრახვებისგან დაცვაში, მაგრამ იგი ვერ დაგვიცავს ჩვენ ჩვენივე თავისგან. როგორ გავაკეთოდ ეს? ამის სწავლაც დასავლეთისგან გვმართებს.

პროფესორი
პაატა ლეიაშვილი
(599 950341)

თუ გამოთავისუფლებული ძალები ეყოფათ...

როგორი უკმაყოფილოც არ უნდა იყოს ჩვენი პენსიონერების უმრავლესობა თავისი პენსიის, უფრო სწორად კი სოციალური შემწეობის სიმწირით, რაც ჩვენივე მთავრობის რუდუნებით, სულ მცირე, კიდევ ერთი წელი მაინც იმავე დონეზე იქნება გაყინული, სადაც ამჟამადაა, ის მაინც ბოლო დროის საარსებო მინიმუმზე მეტია. საქმე საქმეზე თუ მიდგა, მართალია, ლარის მიმართ დოლარის ისტორიულ გამყარებას, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას თუ დავუჯერებთ, მის გაუფასურებასთან არანაირი კავშირი არა აქვს, თუმცა ამის კვალდაკვალ ყველაფერი, უპირველესად, სურსათი და წამლები, ძვირდება. ამდენად, ხანდაზმულობით პენსიასა (180 ლარი) და ამჟამინდელ საარსებო მინიმუმს (174 ლარი) შორის სხვაობა 6 ლარს შეადგენს, რომელიც შედარებით ხელმოკლე კაცმა თავის „ხოშზე“ შეუძლია დახარჯოს.

ცნობას ოქტომბრის საარსებო მინიმუმის ოდენობის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) გვაწვდის. თუკი ამ მაჩვენებელს ერთი წლის წინანდელ მონაცემს შევადარებთ, შარშან ამ დროს ის 160,1 ლარი იყო, მაშასადამე, ერთი კაცის ერთი თვის სამყოფ „ყველაფერს“ წლეულს დაახლოებით 14 ლარამდე მეტი უნდა. არადა, არავინ იფიქროს, რომ ამხელა თანხა ყველას ერთნაირად სჭირდება. იმავე საქსტატის ცნობით, **საშუალო(?!) მომხმარებლის საარსებო მინიმუმი კიდევ უფრო ნაკლებია და 154,1 ლარს შეადგენს, საშუალო ოჯახის საკმარისი (ოთხი კაცი მაინც ხომ უნდა იყოს?) თანხა 300 ლარსაც კი არ აღწევს და მხოლოდ 291,9 ლარია (აქვე იმასაც დავძენთ, რომ ექვსსულიანი და მეტი (!) ოჯახის შესანახად 409,9 ლარია საჭირო).**

საარსებო მინიმუმზე ლაპარაკისას განა რამდენჯერ შეიძლება იმის გამეორება, რომ მისი დათვლა-გამოთვლის მეთოდიკა „ქვის ხანიდან“ მოდის და პასუხად იმის მოსმენა, რომ „ახალზე მუშაობა მიმდინარეობს და ახლო მომავალში სპეციალისტებისა და საზოგადოების განსახილველად იქნება წარმოდგენილი“? არადა, საარსებო მინიმუმის დონე და არა სამომხმარებლო კალათის ღირებულება, როგორც ეს ყველა, თუნდაც ზომიერად ნორმალურ ქვეყანაშია მიღებული, მოსახლეობის სოციალური და მატერიალური ყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი მაჩვენებელია.

უწინაც ბევრჯერ გვითქვამს, მაგრამ ამ ჯერზეც გავიმეორებთ, რომ საარსებო მინიმუმი ჩვენში შრომისუნარიანი მამაკაცის ჯანმრთელი სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად ფიზიოლოგიურად აუცილებლად საჭირო კვების პროდუქტების ოდენობის ღირებულებით განისაზღვრება. მასში მდგენელი ელემენტები და აუცილებლად მისაღები კალორიების ოდენობაა გათვალისწინებული. იგი 40 დასახელების სასურსათო პროდუქტს შეიცავს, რომელთა მთლიანი ყოველდღიური ნოყიერება 2300 კილოკალორიაა (აქვე იმასაც ვიტყვით, რომ სპეციალისტების აზრით, ეს ოდენობა არასაკმარისია და საჭიროა დამატებით კიდევ 200 კილოკალორია დაემატოს, თანაც აუცილებლია სასურსათო კალათაში შემავალი საკვების მეტი მრავალფეროვნება).

საარსებო მინიმუმზე ყველა დონის არჩევნებზე გამუდმებითაა ლაპარაკი. არც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იყო ამ მხრივ გამონაკლისი, რასაც სხვადასხვა ერთმანეთს დაპირისპირებული ძალების წარმომადგენლები ერთ-ერთ ქმედით არგუმენტად იყენებდნენ და ყველანი პენსიის გაცილებით მეტობას აუცილებლად აანონსებდნენ, თუმცა კი შედეგი, როგორც ვიცით, ისეთია, როგორიც მივიღეთ: პენსიების მომატება ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

ვნახოთ, გაისად რა იქნება, რამდენად ეყოფა სახელმწიფოს ამაზე რეალურად ზრუნვის მატერიალური ძალა, რაც მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაციამ უნდა შესძინოს.

ოთარ ტურაბელიძე

ვაკის რაიონი ლამაზდება

ვაკის რაიონის გამგეობა სკვერებისა და შიდა ეზოების კეთილმოწყობას აქტიურად განაგრძობს. მერიის ინფორმაციით, დასასვენებელი სივრცის განახლება ამჯერად ლორთქიფანიძის 32-ის მიმდებარედ მიმდინარეობს. საბავშვო მოედანზე უკვე დაიგო რბილი საფარი, გამოიცვლება საქანელები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება საბავშვო სასრიალოს, განახლდება სკამები და სანაგვე ურნები. გარდა ამისა, შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები უკვე დასრულდა ნუცუბიძის III მ/რ-ის I კვარტალის V კორპუსის მიმდებარედ. სკვერებისა და შიდა ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ვაკის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „ინტერტექნოლოგი“ ახორციელებს. სულ, მიმდინარე წელს, ვაკის რაიონში რეაბილიტაცია 30-მდე სკვერსა და შიდა ეზოს ჩაუტარდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

აზიის პრიზი

მიმდინარე წლის 16-18 ნოემბერს ინდოეთის დედაქალაქ დელიში გაიმართა აზიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ასოციაციის საკოორდინაციო თათბირი მდგრადი განვითარების კომუნიკაციების სტრატეგიის შესამუშავებლად, რომელზეც მიწვეული იყვნენ აზიის და მეზობელი ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების არჩეული ბორდის წევრები.



საქართველოდან ამ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი **ავთანდილ (ბიძინა) კორახაშვილი**, რომელიც ასოციაციის ბორდის წევრად არჩეული იქნა 2015 წელს. მან წარადგინა პროექტი და გააკეთა მოხსენება გლობალიზაციის პირობებში სურსათის უვნებლობაში საერთაშორისო სისტემების და წევრი ქვეყნების სტრატეგიული კომუნიკაციის პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე.

საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა, რომელშიც ორი ნობელის პრემიის ლაურეატი შედიოდა (ინდოეთის „მწვანე რევოლუციის“ თანაავტორები) შეაფასეს 48 ქვეყნის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, რომელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ორი ქვეყნის — იაპონიისა და საქართველოს წარმომადგენლებმა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ამ მიმართულებით ყველაზე მოწინავე ქვეყნების — იაპონიისა და საქართველოს წარმომადგენლებს გადაეცათ აზიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების ასოციაციის სპეციალური პრიზები.

◎ კვალი დროში

ძველი აღმოსავლეთის აღიარებული მკვლევარი

თვალსაჩინო ქართველ მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

აკადემიკოსი გრიგოლ გიორგაძე – 90



იგი დაიბადა 1927 წლის 28 ივლისს ქ. ქუთაისში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. ამის დადასტურებაა ოქროს მედალი, რომელიც მან სკოლაში წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის დაიმსახურა. სტუდენტური წლებიც აკადემიური წარმატებებით აღინიშნა.

1952 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მეცნიერული კვლევისა და ცოდნის გაღრმავების შესანატრი უნარი გრიგოლ გიორგაძემ სტუდენტობის წლებში გამოავლინა, როდესაც გიორგი წერეთლის, გიორგი ნიორაძის, გიორგი მელიქიშვილის, გივი ჟორდანიას, ოთარ ჯაფარიძის, ვალერიან გაბაშვილისა და სხვა ქართველ მეცნიერთა ლექციებს ისმენდა, ეუფლებოდა ძველ და ახალ ენებს (ასურულ-ბაბილონურ, ხეთურ, ურარტულ, ხურიტულ, არაბულ, არამეულ და ევროპულ ენებს), ეცნობოდა ქართულ და უცხოენოვან სამეცნიერო ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში.

აკადემიკოს გიორგი წერეთლის რჩევით, გრიგოლ გიორგაძემ თავისი მომავალი კვლევა-ძიებანი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნას დაუკავშირა.

ძველაღმოსავლური მეცნიერების ღრმად დაუფლება ბატონმა გრიგოლმა ხეთურ და ასურულ ლურსმულ ტექსტებში ქასქების (ქაშქების) ისტორიის მონოგრაფიული შესწავლით დაიწყო. სწორედ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი მისი სადისერტაციო ნაშრომი, თემაზე: „ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების ისტორიიდან (ქაშქები)“ იმ დროისათვის ნაკლებად შესწავლილ პრობლემას მიეძღვნა, რომელიც 1956 წელს დიდი წარმატებით დაიცვა (1961 წელს ნაშრომი, შემოკლებული ფორმით ლენინგრადში (დღევანდელი სანკტ-პეტერბურგი) დაიბეჭდა „Переднеазиатский сборник“-ის I ტომში ვრცელი ინგლისური რეზიუმეთი).

XX საუკუნის 50-60-იან წლებში გრიგოლ გიორგაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის „შრომების“, „აღმოსავლური კრებულის“, „Вестник древней истории“-ის ფურცლებზე ძველი წინა აზიის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკაზე არაერთ საყურადღებო ნაშრომს აქვეყნებს. იგივე ჟურნალი ბეჭდავს მის რეცენზიებს ჯ. გარსტანგისა და ო. გერნის, ჰ. კლენგელის, ფ. იმპარატის, ი. მანანდიანის და მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში ცნობილ სხვა აღმოსავლეთმცოდნეთა მონოგრაფიებზე.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გრძელდება გრიგოლ გიორგაძის ხეთოლოგიური ძიებანი, რომლებიც ურთულეს საკითხთა დასმითა და ახლებური გააზრებით ხასიათდება. 1960-70-იან წლებში გრიგოლ გიორგაძე ინტენსიურად და თანმიმდევრულად იკვლევდა ხეთების სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიასთან ორგანულად დაკავშირებულ ურთულეს საკითხებს.

გრიგოლ გიორგაძის მიერ XX საუკუნის 60-70-იან წლებში ჩატარებული შრომატევადი ძიებანი 1953 წელს ფუნდამენტური მონოგრაფიის „Очерки по социально-экономической истории Хеттского государства“ გამოქვეყნებით დაგვირგვინდა. გამოჩენილმა ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა (გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ი. დიაკონოვი, ვ. ივანოვი, ვ. იაკობსონი, ჰ. კლენგელი, ა. კამენჰუბერი და სხვები) აღნიშნული მონოგრაფია ძველაღმოსავლური მეცნიერების საეტაპო ხეთოლოგიურ ნაშრომად აღიარეს. აღნიშნულ წიგნში ისტორიოგრაფიაში პირველად მონოგრაფიულად იყო შესწავლილი ხეთური საზოგადოების მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელთა პრობლემატიკა. ავტორმა ხეთური ლურსმული ტექსტების უმდიდრესი ფაქტობრივი მასალის სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე (1971 წელს ხეთურ თეზავროსზე სამუშაოდ ბერლინში მივლინების შემდეგ) სოციალური მთელი რიგი ტერმინების სემანტიკა პირველმა ამოხსნა და ამ გზით, ხეთური საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა ისტორიის დამაჯერებელი სურათი აღადგინა, საბოლოო ჯამში კი, ხეთური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის ხასიათი და თავისებურებები წარმოაჩინა. 1973 წელსვე აღნიშნული მონოგრაფიის საფუძველზე გრიგოლ გიორგაძეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

გრიგოლ გიორგაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ძველი ანატოლიის მოსახლეობის სოციალური სტრატიფიკაციის პრობლემატიკის კვლევას.

იგი ხეთური სამართლის აღიარებული მკვლევარიცაა. სწორედ მის სახელს უკავშირდება მაღალ მეცნიერულ დონეზე კომენტირებული და თარგმნილი ხეთური კანონებისა და ე. წ. „სასამართლო ოქმების“ პუბლიკაციები.

არანაკლები ღვაწლი დასდო მეცნიერმა ხეთებისა და ხურიტების პოლიტიკური ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევას.

ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიისადმი მიძღვნილი გრიგოლ გიორგაძის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიც მაღალ შეფასებას იმსახურებს. აქ ავტორის მიერ გამოკვლეული და ინტერპრეტირებული ხეთური ლურსმული ტექსტების ჩვენების საფუძველზე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების დიპლომატიის ისტორიის მანამდე ნაკლებად შესწავლილი ასპექტებია გაშუქებული. ეს ნაშრომები ძველაღმოსავლურ მეცნიერებაში ამ საკითხებთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს.

საგანგებოდ უნდა ითქვას ბატონი გრიგოლის სამეცნიერო ნარკვევებზე ცენტრალურ ანატოლიაში ლითონების, კერძოდ, რკინისა და ვერცხლის, წარმოება-გამოყენების შესახებ, რომლებიც პირველწყაროთა მისთვის ჩვეულ სიღრმისეულ შესწავლას ეფუძნება და არაერთ სიახლეს შეიცავს.

გრიგოლ გიორგაძის ყურადღების გარეშე არც ხეთური რელიგიის ისტორია დარჩენილა.

ბატონი გრიგოლის შემოქმედებაზე საუბრისას არ შეიძლება, ხაზგასმით არ აღინიშნოს ხეთური ფილოლოგიის განვითარებაში შეტანილი მისი წვლილიც. მეცნიერის ტექსტოლოგიურმა ძიებებმა, თარგმანისა და ინტერპრეტაციისათვის ურთულესი წერილობითი ძეგლების მისეულმა პუბლიკაციებმა დიდი როლი შეასრულა ხეთური სახელმწიფოს ისტორიის დიდი ხნის მანძილზე თეთრ ლაქებად დარჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების ინტერპრეტაციაში. იგივე უნდა ითქვას მის ენათმეცნიერულ ძიებებზეც და ქართველოლოგიაში შეტანილი დიდ წვლილზე.

50-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა გრიგოლ გიორგაძემ „Болшая Советская Энциклопедия“-სა და „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე.

სამეცნიერო წრეებში წლების მანძილზე მოპოვებულმა მაღალმა ავტორიტეტმა განაპირობა გრიგოლ გიორგაძის მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი ისეთი სოლიდური და აღიარებული სახელმძღვანელოების შექმნაში, როგორიცაა: „История древнего мира“ (т.1, Москва, 1983), „Источниковедение по истории древнего Востока“ (Москва, 1984), „История древнего Востока“. Материалы по историографии“ (Москва, 1991). ამ სახელმძღვანელოთაგან პირველი 1991 წელს აშშ-ში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა.

გრიგოლ გიორგაძე ქართულ და მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას ძველი მსოფლიო ისტორიის, ფილოლოგიისა და არქეოლოგიის სფეროებში ქართველი მეცნიერების მიღწევებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული ახალი ნაშრომების შესახებ. მეცნიერი არაერთი სამეცნიერო კრებულის რედაქტორი იყო. მრავალი წლის მანძილზე იგი წარმატებით უძღვებოდა აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მიერ დაფუძნებულ, საყოველაოდ ცნობილ სამეცნიერო სერიას: „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“. წლების მანძილზე ბატონი გრიგოლი ნაყოფიერად თანამშრომლობდა „Вестник древней истории“-სა და სხვა სოლიდურ სამეცნიერო სარედაქციო კოლეგიების მუშაობაში. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა ამოუწურავი თემაა და ეს, სავსებით ბუნებრივია: იგი 100-მდე ნაშრომის, მათ შორის 8 მონოგრაფიის ავტორი გახლდათ. ორ ათეულზე მეტი მისი გამოკვლევა დასავლეთ ევროპულ ენებზეა გამოქვეყნებული გერმანიაში, ინგლისში, აშშ-ში, ჩეხეთში და უნგრეთში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ გიორგაძის პედაგოგიური მოღვაწეობა. ქართული ხეთოლოგიური სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებლად აღიარებულმა არაერთი მაღალკვალიფიციური ხეთოლოგი, ხურიტოლოგი და ასირიოლოგი აღზარდა.

ქართული მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის ბატონი გრიგოლი დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“ (1997). ნაშრომმა — „უძველესი აღმოსავლური ეთნოსები და ქართველთა წარმომავლობა“ — აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია დაიმსახურა. არჩეული იყო აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების მრჩეველთა საბჭოს წევრად (1998).

სამწუხაროდ, გრიგოლ გიორგაძის დაბადების სახელოვან 90 წლისთავს მეცნიერის გარეშე აღვნიშნავთ, თუმცა, მისი სიცოცხლე კვლავ გრძელდება მის შთამომავლობაში, მრავალრიცხოვან მოწაფეებში, საქმეში, რომელსაც იგი ბოლო ამოსუნთქვამდე ერთგულად ემსახურა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საფრთხე აღარ მცირდება!..

რა უნდოდა IS-ის საგარეო ოპერაციათა ხელმძღვანელს საქართველოში?

რამოდენიმეედღიანი დუმილის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 21-22 ნოემბერს ისანში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულთა შორის ახმედ ჩატაევის არსებობა ირიბად დაადასტურა. როგორც სუს-ის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, არსებობს მსგავსი ეჭვი, ხოლო ზუსტი ინფორმაცია დნმ-ის ანალიზის პასუხის მიღების შემდეგ გახდება ცნობილი. ჯგუფის წევრებს შორის ჩატაევის თითქმის დადასტურებულმა არსებობამ, მისი პერსონიდან გამომდინარე, სპეცოპერაციის კონტექსტი შეცვალა...

საქართველო „ისლამურ სახელმწიფოს“ ახლო დისტანციაზე პირველად შეეჩეხა და სხვა მრავალთან ერთად, გაჩნდა, ალბათ, უმთავრესი კითხვა: მოექცა თუ არა ჩვენი ქვეყანა „დაეშის“ ობიექტივში, ხოლო თუ მოექცა, როგორ – როგორც სამიზნე თუ როგორც სატრანზიტო ტერიტორია? ამ კითხვებზე პასუხები ჯერ არ გვაქვს. შს მინისტრმა გიორგი გახარიამ საკუთარ განცხადებაში მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმზე მიუთითა. ანალოგიური ინფორმაცია გააჟღერა გომელაურმაც და საზოგადოება დაამშვიდა, რომ ძიების პროცესში ამერიკული მხარე ჩაერთო. დამატებითი ოფიციალური ინფორმაცია კვლავ არ არსებობს, შესაბამისად, გრძელდება მსჯელობა საკუთარი წყაროების ინფორმაციისა და ვერსიების დონეზე.

სანამ უშუალოდ გაბრიელ სალოსის ქუჩაზე განვითარებულ მოვლენებთან „ისლამური სახელმწიფოს“ შესაძლო კავშირზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ გავახსენებთ მკითხველს ახმედ ჩატაევის, მეტსახელად „ცალხელა ახმედას“ პერსონას: იგი რუსეთის მოქალაქეა. მონაწილეობდა რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომში, გახლდათ ერთ-ერთი საველე მეთაური. ჩავარდა რუსების ტყვეობაში. იმავე პერიოდში ჩატაევმა ხელი დაკარგა. როგორც თავად ამბობდა, მან ტყვეობას თავი გაქცევით დააღწია, თუმცა ბევრს მის ამ მტკიცებაში ეჭვი შეაქვს. ასეა თუ ისე, ჩატაევი ავსტრიაში აღმოჩნდა და იქ ლტოლვილის სტატუსიც მიიღო. რუსეთის გარდა, „ცალხელა ახმედა“ სხვადასხვა დროს შვედეთში (2008), უკრაინაში (2010), ბულგარეთ-თურქეთის საზღვარზე (2011) და საქართველოში (2012) იყო დაკავებული, თუმცა ყოველ ჯერზე პატიმრობას თავს აღწევდა.

უშუალოდ ქართველი საზოგადოება მას 2012 წელს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული გახმაურებული სპეცოპერაციიდან იცნობს. მაშინ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ახმედ ჩატაევი სპეცოპერაციის დაწყებამდე შეიარაღებულ პირებთან მომლაპარაკებლის როლს ასრულებდა. ამავე სპეცოპერაციის დროს ის ფეხში დაიჭრა, ქვედა კიდურის ამპუტაცია დასჭირდა და თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია. გამოძიება ჩატაევს იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა, თუმცა იმავე წელს საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის ჯერ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, შემდეგ კი პროკურატურამ ბრალდება საერთოდ მოუხსნა და ჩატაევს ოჯახთან ერთად ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა მიეცა.

ამგვარად, კვლავ დაკავება და კვლავ თავის დაღწევა. არადა, იმხანად (და დღემდეც) ლოპოტას ხეობის, იგივე ლაფანყურის სპეცოპერაციის ბურუსით მოცულ საქმეს ფარდა ბოლომდე როდი ჰქონდა ახდილი და ბევრს არაერთი კითხვა რჩებოდა ამ საქმეში სწორედ ჩატაევის როლის თაობაზე. მაშინაც, როგორც ახლა, მუშაობს პრინციპი: როცა კითხვების უმეტესობას ოფიციალური პასუხი არ ეცემა, იწყება ვერსიების, ჭორების უწყვეტი ნაკადი და მასში ჭეშმარიტების ამოცნობა მარტივი სულაც არაა.

სხვა მრავალს შორის იმხანად მუსირებდა ვერსია, რომელშიც საქმის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტს სწორედ ჩატაევი წარმოადგენდა. კერძოდ, ამ ვერსიის თანახმად, შეიარაღებული ჯგუფი საქართველოდან დაღესტანში აპირებდა გადასვლას, თუმცა ამ გეგმის განხორციელებას ჯგუფის შემადგენლობაში მყოფი გამცემის მიერ რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდებამ შეუშალა ხელი. ამასთან, ეს ჯგუფი სწორედ ახმედ ჩატაევის მიერ იყო დაკომპლექტებული. თუმცა იმაზე, იყო თუ არა ინფორმირებული ჩატაევი გამცემთა შესახებ, ამ ვერსიის ავტორები არ საუბრობდნენ. ამავე ვერსიით, ჯგუფის წევრთა უმეტესობა ქვეყანაში ლეგალური გზით შემოვიდა, მხოლოდ ორიოდემ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მალულად. ჯგუფის გადაადგილების შესახებ ძალოვანმა უწყებებმა მხოლოდ 5 ლაფანყურელის დაკარგვისა და მათი ძიების პროცესში შეიტყვეს. შემდეგ მათთან მოლაპარაკებები გაიმართა და ერთ-ერთ მომლაპარაკებლად, სწორედ ზემოაღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, ახმედ ჩატაევი შეირჩა. ჯგუფმა იარაღის დაყრაზე უარი განაცხადა. ჩატაევი შეიარაღებულ ჯგუფთან დარჩა, სპეცოპერაციის მსვლელობისას დაიჭრა და საბოლოოდ ქართველი სამართალდამცველების ხელში აღმოჩნდა.

2015 წელს აშშ-მა ჩატაევი ყველაზე საშიშ ტერორისტთა სიაში შეიყვანა.

2016 წელს ჩატაევის გვარმა სტამბოლის ტერაქტთან კავშირის კონტექსტშიც გაიჟღერა, წელს კი, 21-22 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით – კვლავ საქართველოში.

ამასთან, არსებობს ინფორმაცია, რომ სწორედ ჩატაევმა უზრუნველყო იმ პირის „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, რომელიც შემდეგ საქართველოში რადიკალი ისლამისტების წარმომადგენლად დაინიშნა. 2015 წელს ქართველმა სამართალდამცველებმა ადგილობრივი ქისტი – აიუპ ბორჩაშვილი დააკავეს. როგორც განმარტა, ის საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი იყო.

ბორჩაშვილის პროცესზე პროკურორმა მოსამართლეს ამცნო, რომ ჩატაევი ბორჩაშვილის დაკავების გამო ქართულ მხარეს მუქარებს უთვლიდა...

საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტ გიორგი გობრონიძეს კითხვა აქვს: როგორ ან რა მიზნით აღმოჩნდა ჩატაევი თბილისში?

„მოვისმინე მისი ყოფილი ადვოკატის განცხადება, რომ თუ ჩატაევის წინააღმდეგ დევნა არ მიმდინარეობდა, შესაძლებელი იყო, საქართველოში შემოეშვათ. ანტიტერორისტული თანამშრომლობის ფარგლებში საერთაშორისო ტერორისტების სიები არსებობს და ეს სიები ყველა პარტნიორი ქვეყნის სპეცსამსახურს აქვს. აქედან გამომდინარე, უნდა დაისვას კითხვა: რა გზებით შემოვიდა მოცემული პირი საქართველოს ტერიტორიაზე, იყო თუ არა ეს ლეგალური არხებით და თუ იყო, რატომ არ მოხდა ამ ადამიანის გადამოწმება შესაბამის სიებში? ჩატაევი, ერთი მხრივ, ამერიკის მიერ „შავ სიაშია“ შეყვანილი, მეორე მხრივ, მას თურქეთის სპეცსამსახურები ეძებდნენ, როგორც სტამბოლის 2016 წლის ტერაქტის ერთ-ერთ ორგანიზატორს. ორივე ამ ქვეყანასთან გვაქვს იმ რანგის თანამშრომლობა, რომ მსგავსი ინფორმაცია მოგვეწოდოს. შესაბამისად, ვიმეორებ, თუ ეს ადამიანი ლეგალურად შემოვიდა, რატომ ვერ ან არ მოახდინა ქართულმა შესაბამისმა სამსახურმა გადამოწმება სიისა და მისი თუნდაც საზღვარზევე დაკავება?“ – ამბობს გობრონიძე.

გობრონიძის აზრით, საქართველო ახალი ტიპის გამოწვევების წინაშე დგება და საფრთხე აღარ დაიკლებს:

„ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობა ძალიან წაგავს მითიურ ჰიდრას, მით უფრო, რომ საქართველო მოქცეულია ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის. ოფიციალური ინფორმაციით, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის ფედერაციის 4500 მოქალაქე იმყოფება, არაოფიციალურით კი, გაცილებით მეტი შეიძლება, იყოს. „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხების პარალელურად ამ ადამიანებს შეიძლება, გაუჩნდეთ სურვილი, დაბრუნდნენ სამშობლოში და იქ გააგრძელონ ტერორისტული საქმიანობა, ან უბრალოდ დაუბრუნდნენ სახლებს. მსგავს სიტუაციაში შეიძლება იყოს მცდელობა, საქართველოს ტერიტორია გამოიყენონ ტრანზიტულ ზონად. ამის გამორიცხვა არ შეიძლება და აქ ძალიან ფრთხილი მუშაობა მოგვიწევს, რადგან ბევრი ადამიანი არ არის იდენტიფიცირებული, რუსეთის ფედერაცია, ნაცვლად კონსტრუქციული თანამშრომლობისა, ცდილობს, ჩვენ დაგვადანაშაულოს, თითქოს ტერორიზმის საფრთხე საქართველოდან მოდის... არადა, თითოეული ფაქტი, როდესაც ტერორიზმის საფრთხის წინაშე დავდექით, აჩვენებს იმას, რომ ამ რისკის ერთგვარი წყაროები რუსეთის მოქალაქეები იყვნენ. ჩვენ ვართ რეალობაში, რომელშიც მოგვიწევს, საკუთარი ძალებით გავუმკლავდეთ თუნდაც პოტენციური ტრანზიტის საფრთხეებს, ეს კი საქართველოს თვისობრივად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს და გვჭირდება ერთიანი, კომპლექსური ანტიტერორისტული პოლიტიკის შემუშავება. მსგავსი ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლის გამოცდილება ჩვენ არ გვქონია, რადგან საკითხი ძალიან აქტუალური 2014 წლიდან გახდა. საფრთხე აღარ შემცირდება – „ისლამური სახელმწიფო“ დამარცხების შემდეგაც გააგრძელებს მოქმედებას, ის უბრალოდ იატაკქვეშეთში გადაინაცვლებს და განიცდის „ალქაედიზაციას“. და აქ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა, უპირველესად, არ გავხდეთ ტერორისტული აქტორებისთვის ერთგვარი ოაზისი, სამიზნე ან სპეკულაციის საგანი არაკეთილგანწყობილი ქვეყნების მხრიდან“.

გობრონიძე ოპერაციის ყველაზე სუსტ ნაწილად სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან კომუნიკაციას ასახელებს: **„სწორედ ამ კომუნიკაციის ნაკლებობამ გააჩინა ძალიან ბევრი ვარაუდი, რომელმაც, ერთი მხრივ, დააზიანა თუნდაც პანკისის ხეობა. იყო საუბარი, თითქოს პანკისის ხეობიდან იყვნენ ეს ადამიანები, რაც არ აღმოჩნდა სიმართლე, მაგრამ კიდევ ერთხელ მოხდა იქ მცხოვრები ადამიანების სტიგმატიზაცია. ინფორმაციის ნაკლებობა იგივე ჟურნალისტებში წარმოშობს იმის სურვილს, რომ გაარკვიონ მეტი. მსგავს სიტუაციაში სახელმწიფომ, სულ მცირე, საათში ერთხელ უნდა გამართოს ბრიფინგი და საზოგადოებას ის მაინც უთხრას, რომ სიტუაციას აკონტროლებს“.**

დიანა მუსელიანი
„აქცენტი“

⊙ მოზაიკა

ლიონის აუქციონზე მამონტის უძველეს ჩონჩხს გაყიდიან

ლიონში აუქციონზე 15 ათასი წლის სიძველის მამონტის ჩონჩხს გაყიდიან. უნიკალური ლოტი გასაყიდად აგუტის სააუქციონო სახლმა გამოიტანა. ვაჭრობა 16 დეკემბერს გაიმართება. ციმბირში აღმოჩენილი მამონტის ჩონჩხი კარგად არის შენახული. ლოტი 450 ათას ევროდ არის შეფასებული.

მარსზე ასაშენებელი სახლების პროექტი გარკვეულია

მარსზე ასაშენებელი სახლების პროექტი გარკვეულია. აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სააგენტოების მიერ დაფინანსებული კონკურსის - Mars City Design 2017 გამარჯვებული მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ინჟინრებისა და არქიტექტორების გუნდია. მათ შექმნეს საცხოვრებელი სახლის მოდელი, რომელშიც მარსის მომავალი კოლონიზატორები იცხოვრებენ. Space-ის ინფორმაციით, მარსის სახლებს გუმბათის ფორმა აქვს, რომელიც ერთმანეთთან გვირაბებითაა დაკავშირებული. გუმბათები საიმედოდ დაიცავს ხალხს რადიაციისგან, ტემპერატურის ცვლილებისგან და მცირე მეტეორიტების ცვენისგან. თითოეული გუმბათი 50 ადამიანზეა გათვლილი.

მელანია ტრამპმა თეთრი სახლი სადღესასწაულოდ მორთო

ამერიკის პირველმა ლედიმ თეთრი სახლი სადღესასწაულოდ მორთო. საპრეზიდენტო რეზიდენციის მთავარი ღირსშესანიშნაობა 5-ნახევარმეტრიანი ნაძვის ხეა, რომელიც ვაშინგტონში წელს ვისკონსინის შტატიდან ჩაიტანეს. მთავარმა საშობაო ნაძვის ხემ ბინა ცისფერ დარბაზში დაიდო. თეთრი სახლის სხვადასხვა ოთახებში კი 52 საშობაო ნაძვის ხე დადგეს. დეკორაციისთვის მელანია ტრამპმა 3 ათასი მეტრი სადღესასწაულო ლენტი, 300 მეტრის სიგრძის გირლიანდები, 18 ათასი ნათურა და 12 ათასამდე სათამაშო გამოიყენა. საშობაო მიღებებზე სტუმრებს ტკბილეულითა და ორცხობილებით გაუმასპინძლდებიან. დეკემბერში თეთრ სახლში 100-მდე საზეიმო ღონისძიება იგეგმება, რომლებსაც 25 ათასამდე სტუმარი დაესწრება.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მარინე იმედაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარინე იმედაშვილი (პ/ნ 08001032230), ახმეტა, სოფელი ზემო ხალაწანი;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ახმეტა, სოფელი დუისი, ქუჩა 2 №7 (საკადასტრო კოდი: 50.06.34.131).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23285.22 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 14 დეკემბერი, 15:45 საათი.
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. **მოვალე:** მარინე იმედაშვილი (პ/ნ 08001032230), ახმეტა, სოფელი ზემო ხალაწანი;
ასლან ცათიაშვილი (პ/ნ 08001010327), ახმეტა, სოფელი შუა ხალაწანი;
ნოდარ ცათიაშვილი (პ/ნ 08001021872), ახმეტა, სოფელი შუა ხალაწანი;
ბადრი იმედაშვილი (პ/ნ 08001012126), ახმეტა, სოფელი ომალო.
6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
7. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 14 დეკემბრის, 15:45 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი გაბრიელაშვილის და ომარ ზაქაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გაბრიელაშვილი (პ/ნ 16001026635), დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 71.56.11.018.01.009).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ ზაქაიძე (პ/ნ 65404000594), დუშეთი, ერეკლე II ქ. №109;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
დუშეთი, ერეკლე II ქ. №109 (საკადასტრო კოდი: 71.51.02.286).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 8915.76 ლარი.
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 14 დეკემბერი, 16:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** ი/მ „ლევან სალუქვაძე“ (პ/ნ 33001026225), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68;
ნუგზარ შარაბიძე (პ/ნ 23001000020), თბილისი, გლდანის 3 მ/რ, კორპ. 13, ბინა №35;
გიორგი ზაქაიძე (პ/ნ 16001007053), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109;
შპს „გაბრო“ (ს/კ 429320727), დუშეთი, მწითურის 49;
შპს „ულუ“ (ს/კ 437062081), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 14 დეკემბრის, 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნათელა ჭოჭუას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნათელა ჭოჭუა (პ/ნ 42001020316), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №35, ბინა №12.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, პეტრე იბერის ქ. №19 (საკადასტრო კოდი: 04.01.12.192).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11775.68 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 29 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 15 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP48331917;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 483319
6. **მოვალე:** დავით ჯიქია (პ/ნ 42001003895), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №35, ბინა №12;
ნათელა ჭოჭუა (პ/ნ 42001020316), ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №35, ბინა №12.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP48331917; ლოტის ნომერი: 483319).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 15 დეკემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მერი კოროშინაძის და ნანა ბარათაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერი კოროშინაძე (პ/ნ 46001011921), ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ფარცხანა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, მუხიანის დასახლება, მე-3 მ/რ, კორპუსი 10, ბინა №36 (საკადასტრო კოდი: 01.11.13.005.004.01.036).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა ბარათაშვილი (პ/ნ 01027031330), თბილისი, მე-3 მასივი, ქუჩა „დ“, კორპუსი 6, ბინა №3.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, მე-3 მასივი, ქუჩა „დ“, კორპუსი 6, ბინა №3 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.022.020.01.003).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 49962.21 ლარი.
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 14 დეკემბერი, 16:15 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** შპს „ზედაზენი იმერეთი“ (ს/ნ 404919870), წყალტუბოს რ-ნი, სოფელი ქვიტირი;
გიორგი ბარათაშვილი (პ/ნ 21001009407), თბილისი, ასათიანის 10ა, ბინა 19;
ნოდარ ფანჩულიძე (პ/ნ 21001000524), თერჯოლა, სოფელი ჩხარი.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 14 დეკემბრის, 16:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინათინ ბარაბაძის და ნინო ბარაბაძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თინათინ ბარაბაძე (პ/ნ 60001021544), ქ. ქუთაისი, გუგუნავას 2/15;
ნინო ბარაბაძე (პ/ნ 60001102495), ქ. ქუთაისი, გუგუნავას 2/15.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ქუთაისი, გუგუნავას 2/15 (საკადასტრო კოდი: 03.04.06.101.01.015).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38258.05 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 29 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 15 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP48331717;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 483317

6. **მოვალე:** თინათინ ნიჟარაძე (პ/ნ 60001021544), ქ. ქუთაისი, გუგუნავას 2/15;
ნინო ბარაბაძე (პ/ნ 60001102495), ქ. ქუთაისი, გუგუნავას 2/15.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284).
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაადმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP48331717; ლოტის ნომერი: 483317).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 15 დეკემბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რაᲑᲝᲛ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ

ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 6,1% ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲑᲝᲚᲝ 10 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲛ 23,5%-ᲘᲗ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲐ.

„ᲙᲝᲛᲔᲠᲡᲐᲜᲢᲘ“ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐ თუ ᲐᲠᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲨᲘ? ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, თუ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲚᲐᲓ?

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ **ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲝᲘᲫᲔ** ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ 4 ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ.

— ᲖᲝ�გᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲘᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲙᲠᲝᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲛᲘᲕᲧᲕᲐᲕᲐᲠᲗ ᲘᲛ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐᲪ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲗ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲐ. ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲗᲕᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲓᲐ. ᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲘᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲛᲗᲕᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, ᲝᲜᲚᲐᲘᲜ-ᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲓᲐ. ᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ — ᲔᲡ ᲐᲛᲡᲣᲑᲣᲥᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲣᲠᲐᲓ �გᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝᲓ ᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐᲡ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲝᲘᲫᲔ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡᲣᲣᲜᲐᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ �პᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲡᲐ�პᲘᲠᲘᲡ�პᲘᲠᲝᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ.

— ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ — ᲐᲦᲥᲛᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ. ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ — ᲐᲠᲐ ᲘᲛ ᲢᲔᲛᲠᲘᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲘᲗ. ᲞᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲥᲕᲐᲛᲔᲑᲘ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲨᲔ�გᲠᲫᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲩᲔᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲕᲐᲚ ᲓᲐ ᲖᲔ�გ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲐᲠᲔᲡᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ. ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲘᲡᲐᲮᲝᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲔᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠ �გᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲢᲔᲛᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲒᲕᲡᲣᲠᲡ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲖᲝᲘᲫᲔ.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲡᲝᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ



ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ

„ᲛᲔ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲜᲣᲙᲕᲐᲠᲘ ᲬᲐᲓᲘᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ — ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲙᲠᲣᲜᲩᲮᲕᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲜ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲞᲐᲠᲙᲘᲜᲡᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲢᲐᲜᲯᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲨᲕᲔᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲐᲚᲕᲠᲘᲗ ᲐᲛᲐᲕᲡᲔᲑᲓᲜᲔᲜ“. — ᲐᲡᲔ Ი�წᲧᲔᲑᲐ ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲜᲐᲜ-ᲛᲐᲠᲘ ᲒᲣᲡᲢᲐᲕ ᲚᲔ ᲙᲚᲔᲖᲘᲝᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ „ᲝᲫᲛᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘᲪ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲠᲐᲥᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.

სანუკვარი წადილი მქონდაო, ამბობს მწერალი და შექმნა კიდეც რომანი ერთ უჩვეულო ადამიანზე, მისივე თქმით ადამიანზე, რომელიც ერთდროულად პირველიცაა და უკანასკნელიც. მისი სახელია ადამ პოლო. ყოველდღიურ ცხოვრებას გაქცეული, მიტოვებულ სახლში განმარტოებული დღეებს პეიზაჟის ცქერაში ატარებს. მისი საზოგადოებრივი ცხოვრება მაშინ იწყება, როცა თავის სამფლობელოს ტოვებს და ქალაქს სტუმრობს, თუმცა იქაც თავს შიშის ქვეშ გრძნობს, რადგან რეალური სამყარო აღელვებს და თრგუნავს. მოკლედ, ადამი ამოუხსნელ სამყაროში ცხოვრობს.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ნობელიანტმა მწერალმა ეს რომანი 1963 წელს 23 წლის ასაკში დაწერა და გონკურების პრემიის ნომინანტი და რენოდოს პრემიის ლაურეატი გახდა.

ᲞᲔᲞᲘᲢᲐ ᲮᲘᲛᲔᲜᲔᲡᲘ, ᲐᲜᲣ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ



ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲐᲓ სულანთებული, თეორიული ცოდნით რამდენადმე აღჭურვილი (როგორც ავტორი გადმოგვცემს), მაგრამ ცხოვრებისეულ გამოცდილებას მოკლებული ყმაწვილკაცის დონ ლუის დე ვარგასისა და მშვენიერი ახალგაზრდა ქვრივი ქალის — პეპიტა ხიმენესის სიყვარულის ისტორია მეტად ორიგინალური ხერხითაა გადმოცემული მე-19 საუკუნის ესპანური მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის **ხუან ვალერას** ფსიქოლოგიურ რომანში **„პეპიტა ხიმენესი“**. რომანი მართლაც ესპანური რეალისტური პროზის შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც ბრწყინვალე ქართულითაა გადმოენებული შესანიშნავი მთარგმნელის, ქალბატონ **ელზა ახვლედიანის** მიერ.

„ამბავი სიყვარულისა“ მართლაც უბრალოა, ხუან ვალერას რომანის სტილიც კარგად ნაცნობი ხერხია რომანის წარდგენისა მსოფლიო ლიტერატურაში. ავტორი სიყვარულის ისტორიას ერთ-ერთი ქალაქის, დავარქვათ თუნდაც ქალაქი „N“, საკათედრო ტაძრის წინამძღვრის ქაღალდებში აღმოჩენილი ხელნაწერების შეკვრის პოვნითა და შემდგომ მისი გაცნობით გვიყვება (გავიხსენოთ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ — გრაფი სეგედის ჩანაწერების მიხედვით აგებული ისტორია). მეტი დამაჯერებლობისთვის ავტორი იმასაც გვიმხელს, რომ ხელნაწერები გაუხსნელი მხოლოდ იმის გამო დარჩა, რომ ეტყობა, საღვთისმეტყველო ნაშრომები ან ქადაგებები ეგონათო. ამ ხერხით ხუან ვალერა გვიყვება სიყვარულის მეტად ფსიქოლოგიურ ამბავს მისთვის ჩვეული საოცარი სიღრმისეული ოსტატობით. იგი მართლაც დიდოსტატია ადამიანური განცდებისა და მათი ზუსტი ანალიზის, სულის სიფაქიზის გადმოცემისა. წმინდა სიყვარულის გამო ახალგაზრდა კაცი მღვდლობაზე უარს ამბობს და მოულოდნელად დილემის წინაშე აღმოჩნდება.

გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ სულ ახლახან გამოცემული წიგნის რედაქტორია ზვიად კვარაცხელია.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“
ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐᲡ Ქ. №3.
293-13-34; 599 797679

◎ ადამიანი დროში

მუდამ ხელბურთთან ერთად

ქართველ ხელბურთელ ვაჟთა პირველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ თავისი დროის საუკეთესო გარემარბი იმედო ფხაკაძე, რომელსაც 75 წელი შეუსრულდა. წლების განმავლობაში იგი თბილისის „ქარიშხალასა“ (1962-1974) და სსრკ ნაკრებში (1963-1971) თამაშობდა. საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (1962, 1964), სამგზის ვერცხლისა (1965-1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1963), მსოფლიოს ორი ჩემპიონატის მონაწილე (1967, 1970) და მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ჩემპიონი (1968) ხელბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ იყო თბილისის „ქარიშხალას“ მთავარი მწვრთნელი (1974-1977), მისი აღზრდილია ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი, წვრთნიდა იორდანიისა (1976) და საქართველოს ნაკრებ გუნდებს (2008). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 2012 წლიდან საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.



გარემარბი იმედო ფხაკაძე

სპორტული კარიერა ჭიდაობით დაიწყო. 17 წლამდე არაერთ ტურნირში ისახელა თავი. დიდი ხელბურთს მეგობრების რჩევით ეზიარა და მაშინვე იპოვა თავისი ადგილი. 1960 წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში თანატოლთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. „ქარიშხალას“ მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ იგი გუნდში მიიწვია.

— ხელბურთი მაშინ ახალი სახეობა იყო, — იხსენებს იუბილარი. — საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატი 1962 წელს გაიმართა. საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებამდე თბილისში სპორტის სასახლე გაიხსნა. მის თაღებქვეშ პირველი სპორტული შეჯიბრება საქართველო-უნგრეთის ხელბურთელთა მატჩი იყო 1961 წლის 19 მაისს, რომელიც ჩვენებმა 17:15 მოიგეს, მეორე დღეს კი იმავე მეტოქეს 14:13 სძლიეს. თითოეულ ამ პაექრობას 10 ათასი მაყურებელი დაესწრო.

— თქვენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ორჯერ მოიგეთ...

— 1962 წლის საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში ოთხი მოგებითა და სამი ფრეთი პირველ ადგილზე ვიყავით. ბოლო მატჩში კაუნასის „სპორტჰალეში“ მასპინძელთა გუნდს, რომელიც მოგების შემთხვევაში თავად ხდებოდა ჩემპიონი, დავუზავდით — 17:17 და ოქროს მედლები მოვიპოვეთ. მომდევნო წელს მესამეზე გავედით. 1964 წელს კი მეორედ გავხდით ჩემპიონები. ბოლო ტურის წინ აქაც წაუგებლები ვიყავით (9 მოგება და 1 ფრე), მაგრამ ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ ერთი ქულით ჩამოგვრჩებოდა. ბოლო ტურში კონკურენტს 25:17 ვაჯობეთ. გიორგი შარაშიძეს მართლაც უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდა: ჯემალ ცერცვაძე, თამაზ ანთაძე, ჯემალ აბაიშვილი, ანზორ ექსეულიძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, ლერი კარტოზია, ბორის კოპალეიშვილი, თეიმურაზ ზარდალიშვილი, ილია შელეგია, არტურ რატიანიძე, ალექსანდრე ხუციშვილი...

— და იმედო ფხაკაძე, რომელიც სტუდენტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

— 1967 წელს ხელბურთის პელედ მონთლულ ჯემალ ცერცვაძესთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატში ვითამაშე. 1968 წელს კი მე და მეკარე ალექსანდრე ხუციშვილმა მსოფლიოს სტუდენტური ჩემპიონატი მოვიგეთ. 1972 წელსაც კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი, მაგრამ საკავშირო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ევტუშენკომ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე არ წამიყვანა. განაწყენებულს ხელბურთიდან წასვლა მინდოდა, თუმცა „ქარიშხალას“ ახალი მწვრთნელის — ჩემი მეგობრის **ჯანო ბაგრატიონის** ხათრით კიდევ ორი სეზონი ვითამაშე...

* * *

დიდ სპორტთან განშორების შემდეგ იმედო ფხაკაძე თბილისის „ქარიშხალას“ ჩაუდგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ხელბურთელებმა1975 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავეს. ამ წლებში ჩვენს გუნდში გამოჩნდა ალექსანდრე ანპილოგოვი, რომლის დაოსტატებაში ფხაკაძეს დიდი წვლილი მიუძღვის. ანპილოგოვი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ვეტერანი ხელბურთელის აზრით, „ქარიშხალას“ და საკავშირო ნაკრების ლიდერი ახალი ტიპის მოთამაშე იყო. სწორედ მისი გამოჩენის შემდეგ დაიწყეს ხელბურთში ორ მეტრზე მაღალი მოთამაშეების დაწინაურება.

— „ქარიშხალადან“ წამოსვლის შემდეგაც ხელბურთში დავრჩი, — ამბობს ბატონი იმედო. — ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება აქ ვარ. ჯერ სახელმწიფო მწვრთნელი ვიყავი, 1976 წელს რამდენიმე თვით იორდანიაში მიმავლინეს. ამ ქვეყნის ნაკრებმა ჩემი ხელმძღვანელობით არაბულ თამაშებში მესამე ადგილი დაიკავა. შემდეგ ორი წელიწადი მალიში ვიყავი, ერთხანს საქართველოს სპორტის სამინისტროში ეკონომისტად, მერე სასპორტო სკოლის დირექტორად ვიმუშავე, 2008 წელს ცოტა ხნით საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დამნიშნეს და ამ პერიოდში ჩელენჯტროფი მოვიგეთ, მეხუთე წელიწადია, ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვარ. ისევ ხელბურთში ვარ, რადგან უმისოდ არ შემიძლია.

ლაშა დიდია

◎ კალათბურთი

თავს ზემოთ ძალა არ არის

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა მუნდიალ — 2019-ის საკვალიფიკაციო რაუნდის სტარტზე ზედიზედ მეორე მატჩი წააგო — ბელგრადის ალექსანდრ ნიკოლიჩის სახელობის დარბაზში ილიას ზუროსის გუნდი ჯგუფური ტურნირისა და, საერთოდ, ყველანაირი რანგის ფორუმების ფავორიტ სერბეთთან 87:105 (45:44) დამარცხდა.

როცა სამი დღის განმავლობაში გამართულ ორივე შეხვედრაში მოვლენები ტყუპისცალი სცენარით განვითარდება და წარმატებას ორივეჯერ მეტოქე მიაღწევს, გაგიჩნდება კითხვა: რატომ?

ამ შემთხვევაში პასუხი ზედაპირზეა: ფიბასა და ევროლიგას შორის წარმოშობილი კონფლიქტის გამო როგორც „ჯვაროსნებს“, ისე დანარჩენებსაც საკადრო პრობლემები შეექმნათ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, ალექსანდრ ჯორჯევიჩის განკარგულებაში გაცილებით სრულფასოვანი შემსრულებლები არიან, რამაც გადაწყვიტა კიდეც ბალკანური დუელის ბედი.

სერბეთი — საქართველო 105:87
(21:21, 23:24, 30:19, 31:23)

სერბეთი: რადულიცა — 28, მაჩვანი — 18, პენო — 17, სიმონოვიჩი — 12, პაუნიჩი — 8, ტოდოროვიჩი — 8, მარინკოვიჩი — 5, ჯოკოვიჩი — 5, ტეპიჩი — 2, გაგიჩი — 2 ქულა.

საქართველო: დიქსონი — 36, ბოქოლიშვილი — 14, ბერიშვილი — 11, მარკოიშვილი — 10, ბითაძე — 8, ცქიტიშვილი — 6, დვალიშვილი — 2 ქულა.

მსაჯები: მაპინი (იტალია), ჩიულონი (რუმინეთი), მანოსი (საბერძნეთი).

როცა ზემოთ სირთულეებზე ვსაუბრობდით, არაფერი გვითქვამს ბერძენი სპეციალისტის კვალიფიციურობისა და მის შეგირდთა ტაქტიკური განსწავლულობის შესახებ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არაფერი შეგვიმჩნევია. როგორ გეკადრებათ — თუნდაც ფარქვეშ ბრძოლაში პირწმინდად შერცხვენამ დიდწილად განაპირობა თამაშის შედეგი. აღარაფერს ვამბობ მასპინძელთა მძიმე არტილერიაზე, რომელმაც საფუძვლიანად გაანეიტრალა ჩვენებურთა მრისხანე იარაღი — სამქულიანები. ასე რომ, სავიშვიშოც არაფერია — ყველა ნიუანსის გათვალისწინებით სამართალმა ამჯერადაც ჭამა პური. სხვათა შორის, ექს-იუგებმა ნავსი გატეხეს და პირველად მოგვიგეს. შეგახსენებთ, რომ აქამდე მათ ორჯერ ამხანაგურად შევხვდით და ორჯერვე ვძლიეთ, მათ შორის წლეულს — აკროპოლისის თასზე.

აღსანიშნავია, რომ მაიკლ დიქსონმა ზაზა ფაჩულიას საანაკრებო რეკორდი გაიმეორა — 36 ქულა. სამწუხაროა, რომ მის ძალისხმევას სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

ავსტრია — გერმანია 49:90.

სატურნირო მდგომარეობა:

გერმანია, სერბეთი — 2-2, საქართველო, ავსტრია — 0 მოგება.

გაისად საკვალიფიკაციო ეტაპი ასეთი განრიგით გაგრძელდება.

23 თებერვალი
გერმანია — სერბეთი, ავსტრია — საქართველო.

25 თებერვალი
საქართველო — გერმანია, ავსტრია — სერბეთი.

29 ივნისი
საქართველო — სერბეთი, გერმანია — ავსტრია.

2 ივლისი
სერბეთი — გერმანია, საქართველო — ავსტრია.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ანა და ბასტიანი ბავშვს ელოდებიან

მსოფლიოს ყოფილი ნომერ პირველი ჩოგანი ანა ივანოვიჩი და გერმანელი ფეხბურთელი ბასტიან შვაინშტაიგერი შვილს ელოდებიან, ამის შესახებ ინფორმაცია თავად ანამ სოციალური მედიის მეშვეობით გაავრცელა.

„ჩვენს ოჯახში მატებაა, ძალიან ბედნიერი ვარ“ - წერს ივანოვიჩი.

ანა და ბასტიანი ერთმანეთს 2014 წლიდან ხვდებიან, ხოლო 2016 წელს წყვილი დაქორწინდა.

◎ მეგობარი „გაგვიბრაზდა“

დესტრუქციულ ოპოზიციასთან მაიგივებთ?!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ყველას მოგესალმებით დიდი პატივისცემით. ბატონო სპარტაკ, ბატონო გურამ, ბატონო ალეკო, სამივეს კარგად მოგეხსენებათ თქვენდამი და გაზეთის მიმართ ჩემი გულითადი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესახებ, რაც ზუსტად ცხრა წელია, გრძელდება.

ბატონებო, გავეცანი თქვენს კომენტარს – რედაქციის მინაწერს 14 ნოემბერს გამოქვეყნებულ ჩემს წერილზე („როცა...“), სადაც მაქებთ დასაწყისში (დიდი მადლობა ამისთვის და ჩემი წერილის სრულად დაბეჭდვისთვის), ბოლოში კი... თურმე, **„ჩვენ თვალწინ არსებულ არაერთ საჭირბოროტო პრობლემას ვერ ვათვალსაჩინოებ“ და „მხოლოდ დესტრუქციული ოპოზიციის მრუდე სარკეში ვიყურები“, „ამ მრუდე სარკიდან გამომდინარე ვთავაზობ ჩემს ძალზე სუბიექტურ მოსაზრებას, რასაც რედაქცია, ცხადია, ვერ გაიზიარებს“.**

რედაქციის ამ მინაწერისგან ძალზე გაოცებული დავრჩი – დამაბრალეთ ის, რასაც არ ვიმსახურებდი თქვენგან, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს შეფასება არ არის რედაქციის უმრავლესობის პოზიცია. მიუხედავად ასეთი არაობიექტური კომენტარისა, თქვენთან თითქმის ათწლიანი თანამშრომლობის გათვალისწინებით, თავს ნებას ვერ მივცემ გულში ბოღმა ჩავიდო და „სარკისებურად“ გიპასუხოთ. მინდა მჯეროდეს, რომ ძველებური განწყობით ვითანამშრომლებთ მომავალშიც, მაგრამ იმასაც გულწრფელად გეტყვით, რომ უპასუხოდ ვერაფრით ვერ დაგტოვებთ, ყოველგვარი შეურაცხმყოფელი შედარებების გარეშე, ცხადია!

თქვენი მინაწერიდან გამოდის, რომ ათი წლის მანძილზე (შორეული ამერიკიდან თუ მშობლიური თბილისიდანაც), თურმე ყველაფერს კარგად ვხედავდი, „სარკეც“ სწორი მქონდა შერჩეული და არც თქვენთვის მიუღებელი „სუბიექტური მოსაზრებები“ მქონია თქვენი გაზეთის 130-ზე მეტ ნომერში დაბეჭდილ წერილებში. ახლა კი, ვერც ჩვენ თვალწინ არსებულ საჭირბოროტო პრობლემებს ვხედავ („ვერ ვათვალსაჩინოებ“), სწორ სარკეს მრუდე ვარჩიე და მოსაზრებებიც „ძალზე(!) სუბიექტური“ გამიხდა, ანუ, ალბათ, ისეთი, რასაც არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია! ასეთ მოსაზრებებს კი თურმე „რედაქცია, ცხადია, ვერ გაიზიარებს“!

კი მაგრამ, ბატონებო, გინდათ მითხრათ (მკითხველს უთხრათ), რომ როცა რომელიმე ავტორის მოსაზრებას არ იზიარებთ, მას აუცილებლად რედაქციის სახელით გაკეთებული მინაწერით ეხმაურებით?! დავიჯერო, აქამდე გამოქვეყნებული ავტორების უკლებლივ ყველა მოსაზრებას იზიარებდით?! და მხოლოდ ჩემმა **„ძალზე სუბიექტურმა მოსაზრებამ“** გაიძულათ მინაწერით გემცნოთ მკითხველისთვის (ან მავანის და მავანისთვის!) გაზეთის პოზიცია?! კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მკითხველი მხოლოდ დაიბნევა, ვინაიდან ამ მინაწერიდან გაზეთის პოზიციის შესახებ სწორ დასკვნას იგი ვერაფრით ვერ გამოიტანს. რომ არ იზიარებთ გასაგებია, მაგრამ რომელ მოსაზრებას არ იზიარებთ, გაიგო ვინმემ? ნუთუ 10 პუნქტად მოცემული მოსაზრებებიდან არცერთს არ იზიარებთ? განა მკითხველისთვის ზოგად ფრაზებზე მეტად კონკრეტიკა უფრო საინტერესო არ იქნებოდა? რაღა დაგიმალოთ და, მეც ძალიან მაინტერესებს – მაინც რომელმა მოსაზრებამ ან დაკავებულმა პოზიციამ გაიძულათ ამგვარი, ჩემი შეურაცხმყოფელი და საკუთარი პოზიციის სისწორეში ზედმეტად თვითდაჯერებული გამოხმაურება.

რაც შეეხება თავად ფრაზას: **„რედაქცია არ იზიარებს წერილში გამოთქმულ მოსაზრებას“**. თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ამ იდეოლოგიური კლიშეთი კომუნისტების დროს გაზეთის რედაქციები თავს იზღვევდნენ რაიკომის, ცკ-ის მდივნების და, ზოგადად, ცენზურის მოსალოდნელი რეაქციისაგან – პარტიული საყვედური იქნებოდა ეს, რედაქტორობიდან განთავისუფლება თუ კიდევ უფრო უარესი. ამ კლიშეს უაზრობაზე ჯერ კიდევ 25 წლის წინათ მაქვს დაწერილი, მაგრამ იმ დროში, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან რედაქციები უცებ ვერ გადაეწყვნენ – კომუნისტების შიში ინერციით გამოყოლილი გვქონდა ყველას. მაშინაც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ: რას ნიშნავს, რა აზრია ჩადებული ფრაზაში: „რედაქცია არ იზიარებს (არ ეთანხმება)...“? იმას, რომ რედაქცია, მთელი მისი შემადგენლობით ერთ ჭკუაზეა და ავტორის არც ერთ მოსაზრებას, ან ათიდან ცხრას მაინც, არ იზიარებს? კი მაგრამ, ერთი ეს მითხარით, როდესაც ადამიანს აქვს თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება და საშუალებაც, რედაქცია რატომ უნდა იზიარებდეს ან არ იზიარებდეს ავტორების მიერ სულ სხვადასხვა თემაზე გამოთქმულ მოსაზრებებს? რა შუაშია რედაქცია ავტორის სუბიექტურ, თუნდაც, „ძალზე სუბიექტურ“ მოსაზრებასთან? ხომ აქსიომაა ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ შეუძლებელია ყველა ყველას ყველაფერში ეთანხმებოდეს? მაშ, რატომ ვერ მოვიშორეთ ეს დრომოჭმული კლიშე, ვის სჭირდება, უფრო ზუსტად, რისთვისაა გამიზნული იგი დღეს? ვფიქრობ, არ არის ეს ძნელი მისახვედრი – იმისთვის, კრიტიკის ადრესატის კეთილგანწყობა რომ დაიმსახუროთ, ან იმის გამო, რომ მისგან რაღაცით დავალებული ხართ! სხვა შემთხვევებში – იწერება საპასუხო წერილი-გამოხმაურება (და არა – რედაქციის მინაწერი!) და იმართება პოლემიკა. ავტორის მოსაზრებებზე რეაგირება და, მით უმეტეს, ავტორის შეფასება(!) რედაქციის რა საქმეა. თუ რედაქცია თვლის, რომ ავტორის მოსაზრებები მცდარზე მცდარია („ძალზე სუბიექტურია“!), მაშინ ასეთი მოსაზრებების გაცამტვერებას რა უნდა, არც არაფერი – მხოლოდ არგუმენტები(!), ანუ არამრუდე სარკიდან გამომდინარე სწორი, „არასუბიექტური“ მოსაზრებები.

„სუბიექტურ“ მოსაზრებებზე მინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა: **განა, ყველას, აბსოლუტურად ყველა ადამიანის, ანუ სუბიექტის მოსაზრება (რედაქციის ჩათვლით!) სუბიექტური არ არის?! გამოთქმა – „სუბიექტური“ მოსაზრება და, მით უფრო, „ძალზე სუბიექტური“ მოსაზრება ხომ, არსებითად, აბსურდია!** გაგიგიათ სადმე, ვინმე ამბობდეს: ჩემი სუბიექტური აზრი პავლეს სუბიექტურ აზრს ემთხვევაო?!

მხოლოდ იდეოლოგიური კლიშე რომ ყოფილიყო გამოყენებული, ვინ ჩივის, დიდი ალბათობით, არც გამოგეხმაურებოდით (წარსულ დროს დავაბრალებდი), მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ისეთი რამეები დამწამეთ, რომ თქვენგან, ვინც კარგად მიცნობთ (არა იმდენად პირადად, რამდენადაც ჩემი წერილებით), არაფრით არ მოველოდი. მე კი მეღიმება თქვენს შეფასებაზე, მაგრამ თქვენ თავად ცოტა უხერხულობას ხომ არ გრძნობთ, როცა მე **„დესტრუქციულ(!) ოპოზიციასთან“** მაიგივებთ? ჩემი მოსაზრებები ზოგჯერ მამალი ნაციონალების მიერ გამოთქმულის იდენტურია, ე.ი. თქვენი ლოგიკით, მეც ნაციონალი გამოვდივარ, ხომ? ნაციონალებს ხმის ამოღების მორალური უფლება არა აქვთ, თორემ დღეს, ოპოზიციაში ყოფნისას ზოგჯერ ისინიც სიმართლეს ლაპარაკობენ.

კვლავ ძველებური პატივისცემით,

იაკობ ლეჟავა

P.S. შეგახსენებთ, რომ, როდესაც ჩემი წერილები ერთ გვერდზე ვერ თავსდებოდა, დარჩენილი ნაწილი, როგორც მიღებულია, გრძელდებოდა სხვა გვერდზე ან სხვა ნომერში. არასოდეს არ დაგიწყიათ წერილის ბეჭდვა ნახევარი გვერდიდან და გაგრძელებისთვის არ დაგითმიათ მთელი გვერდი. ეს მოხდა პირველად, და ამას ყურადღებასაც არ მივაქცევდი სხვა დროს, რომ არა რედაქციის მინაწერი ჩემს **„დესტრუქციულ ოპოზიციონერობაზე“** და, იმავე გვერდზე ჩემი წერილის ზემოთ გამოქვეყნებული პროფესორ ბონდო ქობულიას მთავრობის საქებარი წერილი (**„ოპოზიციის პასკვილების“** სტრატეგიაზე), თქვენ მიერ მოფიქრებული და დიდი შრიფტით წამძღვარებული სათაურით: **„უმადურობა“**. ამგვარი შეფარული ჟურნალისტური ხერხის დანახვა სიძნელეს არ წარმოადგენს, მით უფრო, ჩემი ცოდნისა და გამოცდილების კაცისთვის. გულდასაწყვეტია, რომ იგი ჩემ მიმართ გამოიყენეთ.

ი.ლ.

ხსოვნა

რევაზ მორგოშია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის დაჯილდოების განყოფილების გამგე

ციური გიორგის ასული ქიტოშვილი

მზია, მანანა, თემურ ქაჯაიები, სპარტაკ ქობულია, ვოვა იოსელიანი ოჯახებით გულწრფელად თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობრებს დიანა მათიაშვილსა და ტარიელ კულულაშვილს დედისა და სიდედრის

ლიზიკო გოგიაშვილი-მათიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ტელეკომუნიკაციის კომპანია „ახალი ქსელების“ ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბერდია გვარამიას მამის, საქართველოს კავშირგაბმულობის სისტემის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მუშაკის, შესანიშნავი ადამიანის

გივი გვარამიას

გარდაცვალების გამო.

ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისთვის ბრალდებული თ.ზ. დამნაშავედ ცნო.

დადასტურდა, რომ 2016 წლის 31 ოქტომბერს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი თ.ზ. ქ.ბათუმში, გ.ტაბიძის ქუჩაზე „მერსედესის“ მოდელის ავტომობილს მართავდა, რა დროსაც დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ოპელის“ მოდელის ავტომობილს შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად „ოპელის“ მძღოლი საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. თ.ზ. მიემალა გამოძიებას.

2017 წლის 31 იანვარს თ.ზ.-ს ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა, აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. სამართალდამცველებმა თ.ზ. 2017 წლის 12 ოქტომბერს სარფის საბაჟო საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ თ.ზ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლომ 2 წელი მიუსაჯა

ბათუმში, 11-12 მარტის მოვლენებზე ბრალდებული ლაშა დეკანაძე ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალის ძირითად ნაწილში უდანაშაულოდ ცნო, თუმცა მოსამართლე ლევან გელოვანის გადაწყვეტილებით, დეკანაძე წელიწადსა და 6 თვეს, ხულიგნობის ბრალდებით მოიხდის. დეკანაძე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასამართლოს განაჩენს უკვე 3 თვეა ელოდება და სასჯელის ერთი მეოთხედი მოხდილი აქვს.

ე.წ. ბათუმის მოვლენების დროს დაკავებული დეკანაძის წინააღმდეგ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ის პირველი და 239 მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობდა, რაც ჯგუფურ ხულიგნობას გულისხმობდა.

2017 წლის 11-12 მარტის მოვლენების შემდეგ 21 პირი დააკავეს, აქედან 2 – მერაბ ღოღობერიძე და ირაკლი ჩხვირკია მასობრივი არეულობის ორგანიზების ბრალდებით, დანარჩენი 19 კი – არეულობაში მონაწილეობისთვის.

ამ 21 პირიდან დეკანაძე პირველია, რომელზეც სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა.

◎ ვერნისაჟი

გასული საუკუნის მიწურული: თითქოს თამაშ-თამაშით დანახული სინამდვილე

თითქმის „ძველით ახალ წლამდე“ გაგრძელდება გუშინ დაწყებული უაღრესად მეტყველი სამხატვრო გამოფენა. მასზე თანამედროვე ქართველ ფერმწერთა ნამუშევრებია წარმოდგენილი, რომელთაც თბილისის ისტორიულ მუზეუმში (ქარვასლაში), საქართველოს ეროვნული მუზეუმი პროექტ „თანამედროვე ხელოვნების გალერეის“ ფარგლებში წარმოადგენს.

„თამაშის მდგომარეობა: ხელოვნება საქართველოში 1985-1999 წლებში“ — ასე ეწოდება თბილისის ისტორიის მუზეუმის სამივე საგამოფენო დარბაზსა და ზედა სართულის ულამაზეს აივანზე გამოფენილ ოცდაოთხი ქართველი ხელოვანის ნამუშევართა ერთობლიობას. მათ შორის არიან გასული საუკუნის 80-90-იან წლებში სარბიელზე გამოსული ფართო აუდიტორიისთვის დღესდღეობით უკვე კარგად ცნობილი ხელოვანები გია ეძგვერაძე, თეა გვეტაძე, ლია შველიძე, მაია ნავერიანი, მალხაზ დათუკიშვილი, ოლეგ ტიმჩენკო, ქეთი კაპანაძე, კოკა რამიშვილი, სხვები. წარმოდგენილი ნამუშევრები იმდენად მაღალი მხატვრული დონისანია, რომ მნახველს ხშირად არამქვეყნიურ ფერწერულ ტილოებს მოაგონებს. გამოფენას უდავოდ დამატებით განზომილებას სძენს ჩვენი სახელოვანი ფოტოგრაფის **გურამ წიბახაშვილის** მიერ შექმნილი საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისის ამსახველი ქრონიკული ხასიათის ფოტონამუშევრები.

დიდძალ დამსწრე საზოგადოებას ორგანიზატორებმა, მათ შორის, 80-90-იანი წლების სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოსტსაბჭოური ხანის პირველი წლების თემატიკაზე მომუშავე ხელოვნების უცხოელმა კრიტიკოსებმა, გამოფენის კურატორმა, დოქტორმა **ჩარლზ მერევეზერმა,** კრიტიკოსებმა **ბერალ მადრამ** და **ვიქტორ მიზიანომ,** ასევე მისმა ასისტენმა **ლალი პერტენავამ** და კოორდინატორმა **ლიკა მამაცაშვილმა** კატალოგი წარუდგინეს. დამსწრეთ ასევე აჩვენეს დოკუმენტური ფილმი, რომელშიც საინტერესოდაა ასახული ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი პროცესის თავისებურებები. აღსანიშნავია, რომ ფილმი საქართველო-გერმანიის წლის ფარგლებში შეიქმნა, მისი პირველი ნაწილი კი სამი ფერმწერის — ქეთი კაპანაძის, კოკა რამიშვილისა და მამუკა ჯაფარიძის შემოქმედებაზე მოგვითხრობს.



გამოფენა ქარვასლაში 10 იანვრამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

იცით თუ არა, რომ...

• **თუკი** სასმელებიდან მხოლოდ წყალს მოიხმართ, ამით რაციონის კალორიულობის შემცირებას და ჭარბი წონის დაგდებას შეძლებთ?

• **გულის** დაავადებებს, გულმკერდში ტკივილებსა და ხშირ ანგინებს ერთნახევარჯერ ის მეუღლეები უჩივიან, რომლებსაც თავიანთ მეორე ნახევრებთან ცუდი ურთიერთობა აქვთ?

• **ალექსანდრე დიუმას** უკვდავ რომან „სამ მუშკეტერში“ მოხუცი კარდინალი დე რიშელიე ლა-როშელის ციხე-სიმაგრის ალყის დროს 42 წლისა იყო?

• **აშშ-ში** მსოფლიოში პატიმართა მთლიანი რიცხოვნობის 25 პროცენტია, რაც უფრო მეტია, ვიდრე ერთად აღებულ ევროპის 35 ქვეყანაში?

• **რუსეთის** უმდიდრეს ადამიანთა 10 პროცენტი ქვეყნის მთელი კეთილდღეობის 90 პროცენტს ფლობს, რომელიც აქტიურად გააქვთ საზღვარგარეთ?

• **1984 წლიდან** მოყოლებული, ამერიკელმა პოლიტოლოგმა ალან ლიჰტმანმა ქვეყანაში უკლებლივ ყველა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი ასპროცენტიანი სიზუსტით იწინასწარმეტყველა?

• **აღმოსავლეთის** ხალხების რწმენით, ბავშვებისა და კამეჩებისთვის თვალი პატიოსანის — ლალის ჩვენება არ შეიძლება, რადგან მისმა ბრწყინვალებამ შეიძლება ბავშვი შეაშინოს, ცხოველი კი განარისხოს?

• **თემურ-ლენგის,** ანუ „კოჭლი თემურის“ ერთ-ერთი ტიტული „კეთილშემწყობ ცთომილთა მმართველი“ იყო?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

ყველაფერი გათვალისწინებულია

ერთ პატარა რესტორანში კელნერმა მებუფეტე ქალთან მიირბინა და დაუყვირა:

— მალე ერთი სირჩა არაყი და ორი ქაშაყიანი ბუტერბროდი ვერანდაზე რომ ზის, იმ ტიპისთვის.

მებუფეტე ქალმა გამოცდილი მზერა მიაპყრო მითითებულ ადგილს.

— მაგ ტიპს ერთი ბუტერბროდიც ეყოფა, მაგას ხომ გაორებული ხედვა აქვს.

— ყველაფერი გათვალისწინებულია, — შეეპასუხა კელნერი, — მაგან ოთხი ბუტერბროდი შეუკვეთა.

აღრე და ახლა

ბებიამ დაინახა თავისი 16 წლის შვილიშვილი როგორ ეხვეოდა გოგოს და ამოიოხრა:

— ჩემს ახალგაზრდობაში კაცები გაცილებით გვიან ქორწინდებოდნენ.

— სამაგიეროდ, ახლა უფრო ხშირად ქორწინდებიან.

ჩხუბში

სერჟანტი ჯარისკაცებს ნათესავებისგან გამოგზავნილ წერილებს ურიგებდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა გაგლიჯა კონვერტი და იქიდან ქაღალდის სუფთა ფურცელი ამოიღო.

— რა არის? — ჰკითხა სერჟანტმა.

— ცოლის წერილია.

— ეგ რა წერილია, — გაიკვირვა სერჟანტმა. — ქაღალდზე არც არაფერი არა წერია.

— მართალი ხარ, — მიუგო ჯარისკაცმა. — მაგრამ საქმე ის არის, რომ მე და ჩემი ცოლი ნაჩხუბრები ვართ.

უაღგილო შეკითხვა

პატარა იანმა მამას ჰკითხა:

— მამიკო, რატომ შეირთე დედიკო ცოლად?

მამა ცოლისკენ მიბრუნდა, სახეზე დამცინავი ღიმილი ეფინა და უთხრა:

— ხედავ, ბავშვსაც კი უკვირს ჩვენი ცოლქმრობა.

ახსნა-განმარტება

— ცოლთან ერთად სულ ღამის რესტორნებში რატომ დადიხართ?

— იმიტომ, რომ სანამ ის იპრანჭება, დანარჩენი რესტორნები იკეტება.

რჟოსანი

საბაჟო დათვალიერებისას მოხელემ ყურადღება კარგა მოზრდილ გალიას მიაპყრო.

— ვისია ეს გალია? — იკითხა მან.

— ჩემია, — მიუგო ელეგანტურმა კაცმა.

— შიგ რა არის?

— ძაღლი.

— კეთილი ინებეთ და გახსენით გალია.

მამაკაცმა უყოყმანოდ შეასრულა ბრძანება. გალიაში ცხვარი აღმოჩნდა.

— თქვენს ძაღლს თურმე რქები ჰქონია, — ჩაიცინა მებაჟემ.

— ბოდიშს გიხდით, მაგრამ ჩემი ძაღლის პირადი ცხოვრება თქვენ არ გეხებათ! — მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა პატრონმა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7183; ევრო - 3.2440;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6297;
100 რუბლი - 4.6829; თურქული ლირა - 0.6944;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6005;
1000 სომხური დრამი - 5.6163.

ამინდი 29 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +8
მთიანი რაიონები - ღამე -7, დღე +7
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +16
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +12
თბილისი: ღამე +3, დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge